ლიბერალი

№ 126 / 4 - 10 მარტი / 2013

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528

"ამ ეტაპზე უსეთეს საქმეს ჩემს თავს ვეხ მოვუძებნი"

გვ. 14

ახალი ინფორმაციით და ხალისიანი განწყობით
ახალი დილა
დილის 8:00 საათიდან "მეცხრე არხზე"
ყოველდღე ქვირის გარდა
tv 9

ლიბერალი

№ 126 / 4 - 10 მარტი / 2013

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

რედაქტორები
ლიკა ზაკაშვილი
ირაკლი აბსანძე

ჟურნალისტები:
ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალდაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ღვედაშვილი

კონტრიბუცია:
სალომე ცეცხლაძე, ბეჟან სვანიძე, გია მაისაშვილი, თაკო კაკაბაძე

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი
გაყიდვებისა და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი
გაყიდვების მენეჯერი:
ქეთევან ქავთარაძე
მარკეტინგის მენეჯერი:
ია შენგელია
დისტრიბუტორი:
მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge

რედაქტორის სვეტი

რა თქმა უნდა, მაღელვებს დადგება თუ არა იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის თანამდებობიდან გადადგომის საკითხი დღის წესრიგში, მისი იურიდიული დიპლომისა თუ უდიპლომობის გამო; მაღელვებს, რომ დასავლეთი ზუსტად აღიქვამდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, რადგან დასავლეთის აღქმებს ყოველთვის დიდი გავლენა აქვს ჩვენი ქვეყნის ბედზე; მაღელვებს პრეზიდენტის და „ნაციონალური მოძრაობის“ აგრესიული და სრულიად დესტრუქციული კამპანია ქვეყნის შიგნით და გარეთ... მაგრამ ჩემი მთავარი საფიქრალი ამ ეტაპზე სასკოლო განათლებაა.

ლუკა, ჩემი უფროსი შვილი, 8 წლისაა, კერძო სკოლაში დადის და 5 საათამდე სკოლაში ატარებს დღეს. ხან ასწრებს გაკვეთილების სკოლაში მომზადებას, მაგრამ თუ ჭადრაკი აქვს, ან სპორტი, დიდწილად ვერ. ეს იმას ნიშნავს, რომ საღამოს სახლში მოსული, სულ მცირე, კიდევ 1,5 – 2 საათი მაინც მეცადინეობს ბუზღუნ-ბუზღუნით. ამას თუ მივუმატებთ ვახშმობისა და ძილისწინა რიტუალებისათვის საჭირო დროს, ცხადია, რომ ლუკას თავისუფალი დრო პრაქტიკულად არ აქვს. არადა, ეს თავისუფალი დრო მას ჰაერივით სჭირდება თამაშისთვის, ყირაზე გადასვლისთვის, ოჯახის წევრებთან ურთიერთობისათვის ან, უბრალოდ, უქმად ყოფნისა და მოწყენისათვის. თავისუფალი დროის არქონის გამო, კითხვის გაგონებაც არ უნდა – ეს მისთვის ყოველთვის დასაზარი „მეცადინეობის“ ტოლფასია.

ლუკა მხოლოდ კომპიუტერული თამაშებით იქცევს თავს. ეს თამაშები მე, რა თქმა უნდა, გულს მიხეთქავს – გაგიგიათ „ამერიკული ჭიდაობა?“ ბრძოლა წესების გარეშე? სრული კოშმარია. დადგმული სცენები და სისასტიკე. არადა, ლუკას ყველა კლასელი (და არა მარტო კლასელი) ამაზე ლაპარაკობს – ცვლიან ბარათებს, ყიდულობენ „რესლინგის“ გმირებს, იმეორებენ მათ მოძრაობებს... და ეს თითქოს მისი მთავარი ინტერესია.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სკოლა ვერ უღვივებს ლუკას სხვა ინტერესებს და ვერც ოჯახის წევრები ვუპირისპირებთ რამეს იმ ძალიან უხარისხო და ხშირად ფუჭ საინფორმაციო ნაკადს, რომელშიც ბავშვები ცხოვრობენ? არადა თითქოს ძალიან ვცდილობთ, კულინარიიდან – სპორტამდე ტყე-ტყე ხეტიალის გავლით.

სინამდვილეში, რას აძლევს დღევანდელი სკოლა ჩვენს შვილებს? მათ შორის კერძო და ძვირადღირებული სკოლები? როგორ გეგმავენ მათ განათლებას? უვითარებენ თუ არა ადამიანურ ინტერესებსა და სასიცოცხლო უნარებს? რამდენად ოპტიმალურად განკარგავენ მათ დროს? რა დროს გვიტოვებენ მშობლებს ბავშვებთან საურთიერთობოდ?

ეს ჩემი ყოველდღიური საზრუნავია და ამიტომაც მოვიხიბლე ლიკა ზაკაშვილის სტატიით „ლიბერალის“ ამ ნომერში – „თამაშისთვის მოპარული ერთი წელი“, რომელიც ხუთწლიანების სასკოლო განათლებას ეხება. ამ სტატიაზე ეს გამახსენდა, „პატარა უფლისწულიდან“: *„დიდებმა მირჩიეს ხელი ამელო მახრჩობელა გველების ხატვაზე, შიგნიდან იქნებოდა, თუ გარედან, და მეტი გულისყურით მოვკიდებოდი გეოგრაფიას, ისტორიას, არითმეტიკას და გრამატიკას. ამიტომ იყო რომ ექვსი წლის ასაკში უარი ვთქვი მხატვრობის ბრწყინვალე კარიერაზე. ნომერი 1 და ნომერი 2 ნახატის უგულებელყოფამ გული გამიტეხა. დიდებს ხომ არაფრის გაგება არ შეუძლიათ სხვების დაუხმარებლად. ბავშვისთვის კი ძალიან მომქანცველია ყოველთვის წინასწარ აუხსნან მათ ყველაფერი.“*

პატარა უფლისწულის გახსენებაზე კი კიდევ უფრო მძაფრად აღვიქვი განსხვავება ჩვენს ადამიანურ საფიქრალსა და „საქვეყნო ამბებს“ შორის. ამ წუთას დამაწიეს – ხათუნა ბერძენიშვილმა („საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო სამსახურის უკვე ყოფილი უფროსი) ბრიფინგი გამართა, დაბალანსებულ მედიას ებრძვიან და ამიტომ გამათავისუფლესო... რა ვქნა, რომ ვერ ავღელდი?

შორენა შავერდაშვილი
მთავარი რედაქტორი

ჩინური "ჰეჰეღა" თბილისის ზღვაზე

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 2015 წლის ახალგაზრული ოლიმპიური ფესტივალისთვის ოლიმპიური სოფლისა და კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით მედიასა თუ ინტერნეტში სხვადასხვა სახის ინფორმაცია გავრცელდა. ცნობა, რომ ჩინური კორპორაცია „ხუალინგი“, რომელიც ამ კოპლექსს აშენებს, 126 ათასი ჩინელის ჩამოსახლებას აპირებდა, საპროტესტო აქციისა და საზოგადოების ვნებათაღელვის მიზეზი გახდა. ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩინურ კორპორაციასთან გაფორმებულმა ხელშეკრულებამ კითხვები ახალი სამთავრობო გუნდის წევრებსაც გაუჩინა. ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ამბობს – „კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები განხილვის სტადიაშია და დღეს მე რომ ვაფორმებდე ამ ხელშეკრულებას, გაცილებით სხვაგვარი პირობებით მოვაწერდი კონტრაქტს ხელს“.

გიორგი ჭეიშვილი
33.22

ინტერვიუ ირაკლი ალასანიასთან

ირაკლი ალასანია: ერთს გეტყვით – როგორც ყველა სამხედროს, მეც მაქვს 20 წლის წინ ფიცი დადებული, რომ ჩემს ქვეყანას ვემსახურები. ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პატივი, რაც მამაკაცს შეიძლება ჰქონდეს არის ის, რომ უხელმძღვანელოს თავდაცვის უწყებას და ჯარს. ამ ეტაპზე უკეთეს საქმეს ჩემს თავს ვერ მოვუძებნი. რაც შეეხება პრეზიდენრობის კანდიდატობას, შევთანხმდით, რომ კოალიციას ერთიანი კანდიდატი ეყოლება. ეს განხილვები, ალბათ, 2-3 თვეში დაიწყება და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება, თუ ვინ გახდება ერთიანი კანდიდატი.

ირაკლი აბსანძე
33.14

თამაშისთვის მოჰპარული ეროვნული

ხუთი წლის ბავშვს უჭირს სკოლის მიღება, რის გამოც საკმაოდ ბევრმა მშობელმა ბავშვი სკოლიდან გაიყვანა. ნეიროფსიქოლოგი თამარ გაგოშიძე ამბობს, რომ ბავშვებში ფსიქიკურმა პრობლემებმა იმატა, რაც ვლინდება უნებლიე შარდვით, ტიკებით, ენის ბორძიკით, შიშებით, სკოლაში გულის რევით, მუცლის ტკივილით. არიან ბავშვები, რომლებიც ამბობენ, რომ არ უნდათ სკოლაში წასვლა.

„კლასში მარტო ერთი ხუთი წლის ბავშვი მყავდა, რომელიც თავს ძალიან დაჩაგრულად გრძნობდა. ამბობდა, ხუთი წლის ვარ, არ ვივლი მოსამზადებელ ჯგუფშიო; ხშირად ტიროდა, ემჩნეოდა ფიზიკური გადაღლა, მერხზე წვებოდა. ამ ასაკის ბავშვი თამაშისკენ არის მიდრეკილი. კანონის ეს ნორმა ქართულ სინამდვილესთან შეუსაბამოა. ამ კანონის გამო საჯარო სკოლაში ძალიან ბევრმა ბავშვმა მოიყარა თავი. გადაიტვირთა კლასები და ინდივიდუალურად ბავშვებთან ვეღარ ვმუშაობთ,“ – ამბობს ერთ-ერთი კერძო სკოლის პედაგოგი მაგდა აბესაძე.

ლიკა ზაკაშვილი
33.36

თურქულ-ქართული ინტერესები

14 თებერვალს ანკარას ერთდღიანი ვიზიტით საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქართული სამთავრობო დელეგაცია ესტუმრა. თურქეთში პრემიერ მინისტრის თან ახლდნენ საგარეო საქმეთა, თავდაცვის, ეკონომიკის, ენერგეტიკის მინისტრები და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ თურქეთთან თანამშრომლობის საკითხს განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდება. თურქეთის პრემიერთან, პრეზიდენტთან, პარლამენტის სპიკერთან და სხვა მინისტრებთან გამართული შეხვედრების შემდეგ მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისა და ეკონომიკური კავშირების გაზრდის აუცილებლობას. საქართველოსთვის თურქეთთან ურთიერთობის გაღრმავება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და მრავალ საკითხს ეფუძნება.

ვასო კუჭუხიძე
გვ.18

საზოგადოება

აფეთქებული ავტობუსის სოფელი

მალხაზ ჭკადუა
გვ.44

ნომერში:

ფოტო ლევან ხარბედია

04 მოკლედ
ორი აზრი
06 გამართლებულია თუ არა სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალის დადგმა და მუზეუმის დაარსება?
კომენტარი
08 ევროპისკენ ვიზის გარეშე
10 ბედნიერების ეკონომიკა
ინტერვიუ
14 „ამ ეტაპზე უკეთეს საქმეს ჩემს თავს ვერ მოვუძებნი“
პოლიტიკა
18 თურქულ-ქართული ინტერესები
მთავარი თემა
22 ჩინური „პეპელა“ თბილისის ზღვაზე
ჟურნალისტური გამოძიება
30 „ქაღალდზე დარჩენილი საკუთრება
განათლება
36 თამაშისთვის მოპარული ერთი წელი
გარემო
40 მიწა, რომელიც შენია
საზოგადოება
44 აფეთქებული ავტობუსის სოფელი
ლიბერალის ვებგვერდიდან
50 თებერვლის ქრონიკები აწ და მარადის
52 **ციტატები**

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge
სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა:
შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ბენედიქტს XVI ბამოსამშვიდებელი სიტყვა

„ძვირფასო მეგობრებო," – ამ სიტყვებით დაიწყო რომის პაპმა ბენედიქტ XVI აპლოდისმენტებისა და ტირილის ფონზე საკუთარი გამოსამშვიდებელი სიტყვა. თქვენ იცით, რომ დღევანდელი დღე ჩემთვის სხვა დღეებისგან განსხვავდება: საღამოს 8 საათის შემდეგ აღარ ვიქნები კათოლიკური ეკლესიის უზენაესი მღვდელმთავარი." – ამბობდა ის.

„მე უბრალო პილიგრიმი ვარ, რომელმაც დედამიწაზე უკანასკნელი პილიგრიმობა დაიწყო. მაგრამ მაინც მთელი ჩემი გულით, ჩემი სიყვარულით, ჩემი ლოცვითა და შინაგანი ძალით ვიმუშავებ საყოველთაო სიკეთის, კარგი ეკლესიისა და კაცობრიობისათვის. ვგრძნობ თქვენს კეთილგანწყობასა და სიყვარულს. მოდით, წავიდეთ წინ უფალთან ერთად ეკლესიისა და მსოფლიოს კეთილდღეობისთვის." – მისი, როგორ პაპის ბოლო გამოსვლა იყო უბრალო: " მადლობა და ღამე მშვიდობისა. გმადლობთ ყველას." – წერს „გარდიანი".

გზავნილი მოკლე იყო, თითქმის ორწუთიანი, მაგრამ შეკრებილთათვის ეს საკმარისი აღმოჩნდა. ფრანჩესკა პაგლიარინი, სკოლის მასწავლებელი შეკრებას თვალცრემლიანი ტოვებდა. „რაც პაპმა თქვა, ნამდვილად ამაღელვებელია, თქვა, რომ ჩვენ ყველანი ძმები ვართ." – ამბობდა ის.

ბენედიქტს ემოციურად და ცრემლებით გამოემშვიდობნენ მისი მცველები და თანაშემწეები.

ეროსექსიანთა ქორწინება აშშ-ში

აშშ-ში კონსერვატორები და ბიზნეს ორგანიზაციები ობამას ადმინისტრაციის კვალდაკვალ სასამართლოს ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვის გაუქმებას სთხოვს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამას ადმინისტრაციას ერთსქესიანი ქორწინების მხარდაჭერისკენ მოუწიდებს. ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ სასამართლოში კალიფორნიის შტატის დათქმა 8-ის წინააღმდეგ საქმის წარმოებას დაიწყებს. დათქმის მიხედვით ქორწინება მხოლოდდამხოლოდ მამაკაცსა და ქალს შორისაა დაშვებული.

ობამამ უზენაეს სასამართლოში ქორწინების თანასწოროების შესახებ წინადადება უკვე შეიტანა. წინადადების მიხედვით, სასამართლომ ქორწინების ფედერალური აქტი უნდა გააუქმოს, რომელიც ქორწინებას მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის აღიარებს. პრეზიდენტი მართალია მხარს უჭერს ერთსქესიან ქორწინებას, თუმცა ამ საკითხის გადაწყვეტას შტატების პრეროგატივად მიიჩნევს.

ერთსქესიან ქორწინებას მხარს უჭერს 100 რესპუბლიკელი და კონსერვატორი, მათ შორის მსოფლიო ბანკის ყოფილი პრეზიდენტი პოლ ვულფვიოცი. მხარდამჭერებს არიან ისეთებიც, ვინც წარსულში ერთსქესიან ქორწინებას ეწინააღდეგებოდა.

პროფკავშირული გაერთიანებების მტკიცებით ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვა დასაქმებულისათვის ცუდია. „დასაქმებულები მილიონობით სხვა ამერიკელთან ერთად დგას ქორწინების თანასწორობისთვის ბრძოლაში, ჩვენ გვჯერა სამართლიანობისა და

თანასწორობის და არ ვფიქრობთ, რომ ფედერალური თუ შტატების მთავრობა ადამიანებს იმის მიხედვით უნდა სჯიდეს, თუ ვინ უყვარს." – ამბობს ვალარი ლონგი, მომსახურების სფეროში დასაქმებულთა პროფკავშირის ვიცე პრეზიდენტი.

ჯიბეიშეტევა აშშ-ს სამთავრობო სტრუქტურებზე

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ურთიერთობების დაძაბვას აშშ-ს სამთავრობო სტუქტურებზე, მედიაორგანიზაციებზე და კერძო ფირმებზე კიბერშეტევა მოჰყვა. როგორც ვაშინგტონში ამბობენ, ერთ-ერთი კიბერთავდასხმა ჩინეთის თავდაცვის სამინისტროდან ხორციელდებოდა.

თეთრი სახლის წარმოამდგენელმა კეი კარნიმ აღნიშნა, რომ აშშ-ის მთავრობა შეშფოთებას გამოთქვამს ჩინეთიდან კიბერთავდასხმის გამო. თავის მხრივ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჰაკერულ თავდასხმებში ჩინეთის მთავრობის მონაწილეობას უარყოფს.

შეტევა მოხდა „Apply" – ის მომხმარებლებზეც. „Apply"-ის გარდა ჰაკერული თავდსხმის შესახებ „ნიუ-იორკ ტაიმსმა", „uols strit jornal"-მა, სოციალურ ქსელ ფეისბუქმა და „ტვიტერმაც" გაავრცელა განცხადება. ჯერჯერობით არაა ცნობილი ვისი ორგანიზებულია თავდასხმა.

ესპანეთში ჩადრების ტარების აკრძალვა გაუქმდა

ესპანურმა სასამართლომ მუნიციპალურ შენობებში რელიგიური რწმენის შეზღუდვის მოტივით ისლამური ჩადრების ტარების აკრძალვა გააუქმა. 2010 წელს კატალონიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონის ქალაქ ლეიდაში პირველად შემოიღეს ჩადრების აკრძალვა. მოგვიანებით ეს აკრძალვა მუსლიმების ასოციაციის სარჩელით ადგილობრივმა სასამართლომ გააუქმა, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ აკრძალვა განახლდა.

ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ თქვა, რომ ქალაქებს არ აქვთ უფლება



მსგავსი აკრძალვები დააწესოს. მისი თქმით, ასეთი აკრძალვა იმ კანონს უნდა ეფუძნებოდეს, რომელიც ესპანეთში ჯერჯერობით არ არსებობს.

სირიის ჰიზისთან დაკავშირებით აშშ-თურქეთის მოლაპარაკებებში ჯონ ჰეი ჩაეთო

აშშ-ის ახლადდანიშნული სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ანკარას სირიის კრიზისთან დაკავშირებით თურქეთთან მოსალაპარაკებლად ეწვია.
ნატოს წევრი ორივე სახელმწიფო სირიის ამჟამინდელი პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ მებრძოლებს მხარს უჭერს, თუმცა მათი შეხედულებები მხარდაჭერასთან დაკავშირებით ერთმანეთს არ ემთხვევა.
გასულ ხუთშაბათს კერიმ პირობა დადო, რომ აშშ სირიელ ამბოხებულებს სამედიცინო საშუალებებითა და საკვებით აუცილებლად დაეხმარება, თუმცა იარაღის მიწოდებისაგან თავს შეიკავებს.
თურქეთმა კი უკვე შეიფარა 200 000-მდე სირიელი დევნილი.
BBC-ის ცნობით, თურქეთი დაინტერესებულია, რომ სირიელმა ამბოხებულებმა რაც შეიძლება მოკლე დროში მოახერხონ გამარჯვება. საომარი მოქმედებებისა და დიდი ოდენობით დევნილების მიგრაციის გამო, თურქეთ-სირიის 900 კილომტრიან საზღვარზე დაძაბული სიტუაციის განმუხტვა ვერ ხერხდება.
თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა კი რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთხელ დაადასტურა სირიელი ამბოხებულების მხარდაჭერა და სირიის ჩრდილოეთით მოსახლეობის დასაცავად ბუფერული ზონის შექმნის იდეითაც გამოვიდა.

ვენესუელის პრეზიდენტი ხვლავს ბამოჯანმრთელებისათვის იბრძვის

ვენესუალას პრეზიდენტი, უგო ჩავესი, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა საზოგადოების წინაშე არ გამოჩენილა, პრემიერ ნიკოლას მადუროს თქმით, კვლავაც სიცოცხლისა და გამოჯანმრთელებისთვის იბრძვის.
ჩავესი უკვე რამდენიმე თვეა მოულოდნელად აღმოჩენილ სიმსივნეს მკურნალობს. პრეზიდენტი საზოგადოების წინაშე 11 დეკემბერს კუბაში გაკეთებული ოპერაციის შემდეგ არ გამოსულა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის 58% დარწმუნებულია, რომ ჩავესს მალე სრულად გამოჯანმრთელებულს ქვეყნის მმართველობის სათავეში იხილავენ.
ოფიციალური წყაროების ცნობით, ჩავესი ამჟამად მწვავე რესპირატორული ინფექციის გადატანის გამო ხელოვნურ სუნთქვაზეა. კარაკასში ის 18 თებერვალს დაბრუნდა, რომლის შემდეგაც ერთ-ერთ სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს.
მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სამედიცინო წრეებში კვლავაც მიმდინარეობს სპეკულაციები თემაზე, გადარჩება თუ არა უგო ჩავესი, გამოცემა Guardian-ის ცნობით, ერთ-ერთ გამოკითხვაში მოსახლეობის 58%-მა აღნიშნა, რომ ისინი ქვეყნის ლიდერის პოლიტიკაში დაბრუნებას უახლოეს მომავალში ელოდებიან, მაშინ როდესაც 30% დარწმუნებულია, რომ ის ქვეყნის მართვას ვეღარასოდეს შეძლებს. გამოკითხულთა 1% კი დარწმუნებულია რომ უგო ჩავესი ავად არც გამხდარა.

დიახ

კობა დავითაშვილი
კოალიცია „ქართული ოცნება“

ფოტო: სოფო ავფციანური

ბამოთიღებული თუ ახა საა
მემორიალის ღადგმა ფ

ეს ტოტალიტარული ტიპის პარტიაა, რომელმაც ხელისუფლების აბსოლუტური უზურპაცია მოახდინა, შელახა ბევრი ადამიანის უფლება, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა. სწორედ ამ მსხვერპლის ხსოვნის პატივსაცემად აიგო მემორიალი.

რა თქმა უნდა, ასეთი მემორიალები უნდა არსებობდეს, რათა ქართულ საზოგადოებას ყოველთვის უნდა ახსოვდეს ვისთან ჰქონდა საქმე წლების განმავლობაში. უნდა გვახსოვდეს, რომ ნაციონალური მოძრაობა ჩვეულებრივი პოლიტიკური პარტია კი არა, არამედ ტოტალიტარული ძალაა.

წინა ხელისუფლება იყო ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც დასასრულს უახლოვდება, თუმცა ჯერ ბოლომდე არ დასრულებულა. ისინი არ არიან ჩვეულებრივი ტიპის ოპონენტები, ეს ტოტალიტარული ტიპის პარტიაა, რომელმაც ხელისუფლების აბსოლუტური უზურპაცია მოახდინა, შელახა ბევრი ადამიანის უფლება, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა. სწორედ ამ მსხვერპლის ხსოვნის პატივსაცემად აიგო მემორიალი.

ჩვენი ოპონენტები, შესაძლოა, ფიქრობენ, რომ ასეთი დამოკიდებულების გამო თანამშრომლობაში ხელი გვეშლება. ამასთან დაკავშირებით მათი პრეტენზიები ხშირად მსმენია, თუმცა სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ, მათთან არანაირი თანამშრომლობა არ წარმომიდგენია, და ამ ე.წ. კოჰაბიტაციის მიმართ მკვეთრად უარყოფითი, ნეგატიური დამოკიდებულება მაქვს, მკვლელებთან და ჯალათებთან თანაცხოვრება არ შეიძლება.

დღევანდელი ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციური ძალა არ არის, ეს არის ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მყოფი ძალის ნაშთი, ნარჩენები ტოტალიტარული რეჟიმისა, რომელიც ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს.

ვინ იქნება ამ ხელისუფლების ოპოზიცია? ამას დრო და შემდეგი არჩევნები აჩვენებს.

წინა ხელისუფლებასთან დაკავშირებით „პოლიტიკური რეჟიმი“ კიდევ მსუბუქი ნათქვამია. მე უფრო მკაცრად ვიტყოდი. ტერმინი პოლიტიკური რეჟიმი ნაციონალური მოძრაობის მთელ ბუნებას არ წარმოაჩენს, ის უფრო ტოტალიტარული რეჟიმია, რომელიც ავტორიტარიზმის ფარგლებს გასცდა. იმ გარდაცვლილი ახალგაზრდების სახელები, რომელთა ხსოვნის უკვდავსაყოფადაც იუსტიციის სამინისტროს წინ პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალი დაიდგა, ამ ფაქტის ნათელი დადასტურებაა.

...ამვილის ჩეჟიმის მსხვეჩპლთა ...ა მუზეუმის დაარსება?

ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა ეს დამოკიდებულება ეხება მთელ უმცირესობას, პრეზიდენტს, დეპუტატებს... იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა საკონსტიტუციო დიქტატურა და ა.შ. რაც სრული აბსურდია.

არა

დავით დარჩიაშვილი
„ნაციონალური მოძრაობა“

ეს არის სიმბოლოებით პოლიტიკური ოპონენტის დემონიზაციის მცდელობა. ასეთ დროს მხარეებს შორის თანამშრომლობა ძალიან რთულდება. ამაზე სულ ვლაპარაკობ. როდესაც სტრუქტურულ საკითხებზე თუ სხვადასხვა საკანონმდებლო თემებზე მსჯელობა მიდის, იქაც ისეთი ტონით საუბრობენ, თითქოს საქმე დამნაშავეებთან ჰქონდეთ.

ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა ეს დამოკიდებულება ეხება მთელ უმცირესობას, პრეზიდენტს, დეპუტატებს... იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა საკონსტიტუციო დიქტატურა და ა.შ. რაც სრული აბსურდია. მეორეც, პარალელურად პირდაპირ ამბობენ, რომ მათი ოპონენტები დამნაშავეები, კრიმინალები არიან და პასუხი უნდა აგონ. ამ ფონზე, კიდევ სიმბოლოებსაც დგამენ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის, საუბრის მანერაც ამ ყველაფრის შესაბამისია.

იმის თქმა მინდა, რომ ასეთ შემთხვევაში კომპრომისის ძიება ძალიან რთულდება. როდესაც ვისთანაც კომპრომისის მიღწევა გინდა და იმას დამნაშავეს უწოდებ, არა მგონია რომ გამართლებული იყოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დაცვის ინსტიქტი მუშაობს.

იუსტიციის სამინისტროსთან არსებული „პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალის“ გარდა კიდევ ერთ-ერთ ციხეში მუზეუმის გახსნაც იგეგმება. გასაგებია, რომ ქალბატონი ნანა კაკაბაძე მხედრიონის ნამოქმედარის მუზეუმს არ გააკეთებს და რაღაც ხომ უნდა გააკეთოს?

ვიღაც რომ მოვიდეს, სრულიად უმწიკვლო, და სხვების ნამოქმედარში ცოდვების ძიება დაიწყოს, ეს სულ სხვა საქმე იქნებოდა, ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს კი საკუთარ ნამოქმედარში თავად უამრავი პრობლემა აქვთ, ისინი ამას იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევენ, ხოლო პოლიტიკურ მეტოქეს ყველა შესაძლო და წარმოუდგენელ დანაშაულს აბრალებენ. მე არ მესმის, ეს რა სამართლიანობაა. იმედი მაქვს, საზოგადოება რაღაც ეტაპზე ამ ყველაფრის ადეკვატურ შეფასებას გააკეთებს და რეაქციაც შესაბამისი იქნება.

ევროპისკენ ვიზის გზაზე

საქართველოს მთავრობამ ევროკავშირისგან ვიზების ლიბერალიზაციის გეგმა უკვე მიიღო. თუმცა ვიზის ლიბერალიზაციისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს ბევრი წინააღდეგობა ელოდება.

ბეჟან სვანიძე

გასულ კვირას თბილისს ევროკომისარი საშინაო საქმეებში სესილია მალმსტრომი ეწვია. სტუმრობას საპატიო მიზანი ჰქონდა, ქალბატონმა ევროკომისარმა საქართველოს მთავრობას ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა გადასცა.

მალმსტორმის ვიზიტი მანამდე ორჯერ გადაიდო და როგორც მოსალოდნელი იყო უმცირესობამ ამ შემთხვევის სათავისად გამოყენება სცადა. ითქვა, რომ ევროპა ამ ჟესტით ახალი ხელისუფლების ნამოღვაწარით უკმაყოფილებას გამოხატავდა და თავს იკავებდა საქართველოსთვის ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გადმოცემისაგან. თუმცა სტუმრის დაგვიანებით ჩამოსვლის მიზეზი ოდენ ტექნიკური იყო და ბოიკოტთან თუ სადამსჯელო მოქმედებასთან საერთო არაფერი ჰქონია.

ვიზიტი 25 თებერვალს შედგა. თუმცა, სამწუხაროა, რომ დოკუმენტი, რომელმაც ის რეფორმები უნდა განსაზღვროს, რომლის წარმატებით განხორციელებისა და ევროკავშირის მხრიდან პოლიტიკური ნების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეები ევროპის შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლას შეძლებენ, ჯერ კიდევ არ განსაჯაროებულა. არადა ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა სულაც არ წარმოადგენს რაიმე სახელმწიფო საიდუმლოებას. ამასთან მასზე იმდენჯერ იყო საუბარი და ისეთი აჟიოტაჟით ელოდა ყველა, რომ წესით გამჭვირვალობაზე პრეტენზიის მქონე ხელისუფლებას მიღებისთანავე ღია უნდა გაეხადა.

საჭიროა ვიზის ლიბერალიზაციის კუთხით მოსახლეობაში ცრუ მოლოდინები არ შეიქმნას. იმ ნანატრი მიზნის მიღწევა, რასაც ვიზის გაუქმება ჰქვია, სულაც არ ნიშნავს იმას რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის ავტომატურად გაიხსნება ევროკავშირის შრომის ბაზარი და მათ იქ მუშაობის კანონიერი გზით დაწყების საშუალება მიეცემათ. ევროკავშირის მხრიდან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია მხოლოდდამხოლოდ იმას გულისხმობს, რომ საქართველოს მოქალაქეს შეეძლება ერთ მშვენიერ დღეს ბარგი შეკრას, აეროპორტში გაემგზავროს, თვითმფრინავში ჩაჯდეს და ვიზის გარეშე ევროპაში გაფრინდეს. იქ კი ერთი წლის მანძილზე ჯამში 90 დღე გაატაროს.

ვიზის ლიბერალიზაციის პროცესში საქართველოს იმ გზის გავლა მოუწევს, რაც უკვე გაიარეს დასავლეთ ბალკანე-

თის ქვეყნებმა (ალბანეთმა, ბოსნია-ჰერცეგოვინამ, მონტენეგრომ, სერბეთმა და ყოფილი იუგოსლავიის ქვეყანა მაკედონიამ). ამ ქვეყნის მოქალაქეები 2009 (მონტენეგროს, სერბეთის და ყოფილი იუგოსლავიის ქვეყანა მაკედონიის შემთვევაში) და 2010 (ალბანეთისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის შემთხვევაში) წლებიდან სარგებლობენ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლით.

ამ პროცესში ჩვენზე წინ მოლდოვა და უკრაინა არიან. მათ შესაბამისად 2011 და 2010 წელს გადაეცათ ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმები და მათ ასრულებენ. ეს დოკუმენტები დიდწილად იდენტურია. ის ოთხი ძირითადი ბლოკისაგან შედგება და მათი შესრულება ორ ეტაპიანია. არსებული გამოცდილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ხელისფულებისგან პირველ ეტაპზე მოითხოვენ შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღებას, ხოლო მეორე ეტაპისათვის კი მიღებული კანონმდებლობის აღსრულებას. საქართველოს ხელისუფლება ეშურება, პირველი ეტაპის დასრულება 2013 წლის 28-29 ნოემბერს ვილნიუსში გასამართი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისათვის მოახერხოს.

ვიზის ლიბერალიზაციისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს ბევრი წინააღდეგობა ელოდება. სხვებს რომ თავი დავანებოთ, მნიშვნელოვანი იქნება პირად მონაცემთა დაცვის შესახებ საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და კიდევ უფრო რთული და საშური ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება. აღნიშნული კანონი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ დაუშვებელია ქვეყნის მოქალაქეთა დისკრიმინაცია რასის, ფერის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობისა თუ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე. მოლდოვის გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ანტიდისკრიმინაციული კანონი ამ ქვეყნის საჯილდაო ქვად იქცა. მოლდოვური ეკლესიის ჩათვლით ამ კანონს უმარავი მოწინააღმდეგე ჰყავდა და პროდასავლურმა მთავრობამ მისი მიღება დიდი გაჭირვებითა და ოდენ კანონისთვის სახელწოდების შეცვლით მოახერხა.

საქართველოსათვის ასევე დიდ გამოწვევად დარჩება შენგენის სივრცის ვიზების მოთხოვნაზე უარის თქმის მაჩვენებელიც, რომლითაც საქართველო ლიდერი იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. 2010 წლისთვის ოფიციალური მონაცემებით ეს რიცხვი 15.1 %-ს უტოლდებოდა. მაშინ როდესაც სომხეთის შემთხვევაში იმავე წლის მონაცემი 10,8%, აზერბაიჯანისთვის – 5,0%, ბელარუსისთვის 0.96%, მოლდოვასთვის – 6,9%, უკრაინისთვის კი 3.4% იყო. და ეს მაშინ, როდესაც ევროკავშირთან ვიზის ლიბერალიზაციის მისაღწევად საჭიროა ვიზაზე უარის თქმის მაჩვენებელი 3%-ს არ აჭარბებდეს.

იმ ნანატრი მიზნის მიღწევა, რასაც ვიზის გაუქმება ჰქვია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოქალაქეებისათვის ავტომატურად გაიხსნება ევროკავშირის შრომის ბაზარი და მათ იქ მუშაობის კანონიერი გზით დაწყების საშუალება მიეცემათ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დიდი ალბათობით ევროკავშირი საქართველოს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების პრიზმიდან დაუწყებს ცქერას. მას შემდეგ რაც ევროკავშირმა ვიზები გააუქმა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს იქიდან წამოსული თავშესაფრის მაძიებელეთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ 2012 წლის ოქტომბერში ავსტრიის, ბელგიის, გერმანიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების და საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრებმა ევროკომისიას ამ ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის აღდგენის თხოვნით მიმართეს. საგულისხმოა, რომ საქართველოდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნით წასული საქართველოს მოქალაქეთა რიცხი ძალიან მაღალია. ევროკავშირის სტატისტიკის სააგენტოს Eurostat-ის ოფიციალური მონაცემებით 2011 წელს ევროკავშირის ქვეყნებს თავშესაფრის მოთხოვნით 7,060 საქართველოს მოქალაქემ მიმართა (2010 წელს 6,865 იყო და ამ მაჩვენებლით საქართველო მეთოთხმეტეა. წინ კი ძირითადად ისეთი ქვეყნები არიან როგორებიცაა ავღანეთი, რუსეთი, პაკისტანი, ერაყი, სომალი, ნიგერია, ირანი სირია, ბანგლადეში და შრილანკა). მაშინ როდესაც ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის პირობებში მყოფი სერბეთიდან ეს რიცხვი – 13, 980, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიიდან – 5,545, ალბანეთიდან – 3,060, ბოსნია და ჰერცეგოვინიდან 2,595, ხოლო მონტენეგროდან 630 ადამიანს შეადგენდა.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მოქალაქეები თავშესაფრის მოთხოვნის კუთხით სამეულში არიან ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ლატვია, ლიტვა, საბერძნეთი, სლოვაკეთი და პოლონეთი.

ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მიღება მნიშვნელოვანი ეტაპია ევროკავშირთა უვიზო მიმოსვლის გზაზე, თუმცა მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ გრძელი გზის გავლა და უამრავი რეფორმის გატარება იქნება საჭირო. რეფორმებთან ერთად კი პოლიტიკური გადაწყვეტილება საბოლოო ჯამში მაინც ევროკავშირის მისაღებია.

ბედნიერების ეკონომიკა

ეკონომიკური განვითარების საბოლოო მიზანი საზოგადოების ბედნიერება უნდა იყოს. ბედნიერების განცდას მხოლოდ მატერიალური განვითარება ვერ განსაზღვრავს. ეკონომიკური განვითარება უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ფრთხილად უნდა იყოს დაბალანსებული სულიერი სიჯანსაღით, ბუნების დაცვით და ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების ხარისხით.

გია მაისაშვილი

საერთაშორისო ორგანიზაციები მთავრობების შეფასების კრიტერიუმად არაერთ ფაქტორს იყენებენ, რომელთა შორისაც დინამიკური ეკონომიკური ზრდის მიღწევა-შენარჩუნება უმთავრეს ფაქტორად არის მიჩნეული, მას მოჰყვება დაბალი ინფლაცია, უმუშევრობის დაბალი პროცენტული მაჩვენებელი, ხარისხიანი ჯანდაცვა ხელმისაწვდომი ფასით, დაბალი კრიმინოგენული ფონი, საყოველთაო განათლების სისტემა მაღალი აკადემიური მიღწევებით, ჯანსაღი გარემო და ა.შ

მაგრამ სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუტანის სამეფოს მიერ წარმოდგენილ კონცეფციას ერთიანი ეროვნული ბედნიერების შესახებ, რაც გულისხმობს იმას, რომ ეკონომიკური განვითარების საბოლოო მიზანი საზოგადოების ბედნიერება უნდა იყოს. ბედნიერების განცდას მხოლოდ მატერიალური განვითარება ვერ განსაზღვრავს. ეკონომიკური განვითარება უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ის ფრთხილად უნდა იყოს დაბალანსებული სულიერი სიჯანსაღით, ბუნების დაცვით და ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების ხარისხით.

ჩვენ უნდა დავიცვათ ბალანსი მთლიან ეროვნულ შემოსავალს და მთლიან ეროვნულ ბედნიერებას შორის.

მთლიანი ეროვნული ბედნიერება ეფუძნება 4 ბურჯს:

1. ბუნების დაცვა
2. ეროვნული კულტურის განვითარება-დაცვა
3. ეფექტური და სამართლიანი ეკონომიკური განვითარება
4. ეფექტური ე.წ. Good governence მმართველობა, აქტიური მოქალაქეობა, სამართლიანობა და სიბრძნე.

რად გვინდა ეკონომიკა ბედნიერების გარეშე, რაშია ეკონომიკის საზრისი თუ არა ბედნიერების შექმნაში?!

სულიერი, კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები ერთმანეთთან ჰარმონიაში უნდა იყოს, ამის გარეშე ბედნიერება ვერ მიიღწევა.

ადამიანური განვითარების ახალი ეტაპი ინფორმაციული ტექნოლოგიების ხანიდან ფსიქოტექნოლოგიების ხანაში გადასვლას გულისხმობს.

პროგრესული ქვეყნების სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობა აქცენტს აკეთებს სწორად დაბალანსებულ ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი ეროვნული ბედნიერების მიმართულებაზე.

დღეს მსოფლიო ახალი ეპოქის მიჯნაზე დგას. ადამიანური განვითარების ახალი ეტაპი ინფორმაციული ტექნოლოგიების ხანიდან ფსიქოტექნოლოგიების ხანაში გადასვლას გულისხმობს. ეს იქნება ხანა, როცა საზოგადოების მთავარ ორიენტირად ადამიანის თვითრეალიზების სტრატეგია იქცევა. ეს იქნება ადამიანის შიდა რესურსების განვითარების, მისი შინაგანი ძალის და შემოქმედებითობის გამოვლინების ხანა. ეს შესაძლებლობები კი თითოეულ ჩვენგანში დაბადებიდანვეა დავანებული.

ყველგან, აკადემურ წრეებშიც და ბიზნესშიც, ადამიანები მისდევენ ბედნიერების ძველ ფორმულას – „თუ იშრომებ, უფრო მეტ წარმატებას მიაღწევ და თუ წარმატებული გახდი, ბედნიერი იქნები“. მაგრამ, როგორც ადამიანის ტვინის შესახებ

თანამედროვე მეცნიერული კველევები ადასტურებს, ეს ფორმულა არასწორია და პირიქით მუშაობს – წარმატება არ არის ბედნიერების მთავარი გასაღები, არამედ ბედნიერებაა წარმატების მთავარი წყარო და გასაღებიც. თუ ადამიანი შეძლებს საკუთარი ტვინის პოზიტიურად მართვას, მისი წარმატების დონე აიწევს, მისი შრომა უფრო პროდუქტიული, სასიამოვნო და აზრიანი იქნება.

ასე რომ, ამ ფორმულის შეტრიალებით, დრამატულად გავზრდით ჩვენი ტვინის პოტენციის კაპიტალიზაციას, აღარაფერი რომ ვთქვათ იმაზე, რომ ვიქნებით უფრო ბედნიერი აქვე, ამ წუთას, აწმყოში.

მთლიანი ეროვნული ბედნიერების კონცეფცია განსაკუთრებულად პოპულარული გახდა ბრიტანეთში პრემიერ მინისტრ დევიდ კამერონის მთავრობის დროს. 2006 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ბედნიერების მსოფლიო რუკასაც აწარმოებს. მეცნერებისათვის პროგრესის შეფასება ხალხის მთლიანი ეროვნული ბედნიერების მიხედვით სულ უფრო საინტერესო ხდება. მატერიალური პროგრესი კარგია, ფული კარგია, მაგრამ არა ბუნების, კულტურისა და ზოგადად ცხოვრების ხარისხის ხარჯზე, არამედ მასთან ჰარმონიით.

გაერომ მსოფლიო ბედნიერების რუკის და მსოფლიო ღირებულებების ჯგუფის გამოკითხვით დედამიწაზე 10 ყველაზე ბედნიერი და 10 ყველაზე უბედური ადგილი გამოაქვეყნა.

ბედნიერი სახელმწიფოების სია:

1.კოსტა-რიკა, 2.დანია, 3.ისლანდია, 4.შვეიცარია, 5.ფინეთი, 6.მექსიკა, 7.ნორვეგია, 8.კანადა, 9.პანამა, 10.შვედეთი . . . 20.აშშ

უბედური სახელმწიფოების სია:

1.ზიმბაბვე, 2.სომხეთი, 3.მოლდოვა, 4.ბელორუსი, 5.უკრაინა, 6.ალბანეთი, 7.ერაყი, 8.ბულგარეთი, 9.საქართველო, 10.რუსეთი.

ჩვენ ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ იმ ერების ნაბიჯებს, რომლებიც ბედნიერ სახელმწიფოებში ცხორობენ და მათი გამოცდილება გავითვალისწინოთ. ამასთან, ყველამ უნდა დავუსვათ ჩვენს თავს კითხვები:

ვარ ბედნიერი? რა უნდა შევცვალო ჩემს ცხოვრებაში, რათა დავიბრუნო ბედნიერება?

მეცნიერება იკვლევს არა მხოლოდ ბედნიერების ბუნების განმარტებას, არამედ პიროვნული ბედნიერების გაუმჯობესების გზებს ეძებს. ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, საბოლოოდ მაინც ბედნიერებისკენ არის მიმართული. ჩვენ არ გვსურს სიმდიდრე, წარმატება, პრესტიჟი თავისთავად. ჩვენ გვინდა ყველაფერი ეს, რადგან ვფიქრობთ, რომ ყოველივე ბედნიერებას მოგვიტანს. ბედნიერებას კი ვესწრაფვით არა იმიტომ, რომ კიდევ სხვას რაიმეს შეგვძენს, არამედ ბედნიერებაა საბოლოო მიზანი და ბედნიერება გვსურს თავად ბედნიერებისათვის.

ზოგ ადამიანს ჰგონია, რომ ბედნიერება ნიშნავს კარგ ხასიათზე ყოფნას და სიხალისეს. ხასიათზე ყოფნა ბიოქიმიური კონდიციაა, ემოცია გარდამავალი გრძნობაა. ბედნიერება კი ძირითადად ცხოვრების წესია, ზოგადი განწყობაა, რომელიც ეფუძნება ოპტიმიზმს, გამბედაობას, სიყვარულს და თვითრეალიზაციას.

ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ადამიანის ბედნიერების 50% განპირობებული გენეტიკით, 10% ცხოვრებისეული გარემოებებითაა განპირობებული და 40% გამოწვეულია იმით, თუ რას ვფიქრობთ და რა ქმედებებს ვახორციელებთ ყოველდღიურად. ე.ი. ჩვენზე ბოლომდე დამოკიდებული მხოლოდ 40%-ია და ამიტომაც – მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ ამ ჩვენზე დამოკიდებული 40%-ის ბოლომდე გამოყენებას!

ყოველი ჩვენგანი იბადება ბედნიერების წინასწარგანსზღვრული ე.წ. საწყისი ქულით, ზოგი – დაბალით, ზოგი კი – მაღალით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანს არ ძალუძს საკუთარი ბედნიერების დონის გაზრდა. შეგვიძლია 40%-ის ფარგლებში ჩვენი ბედნიერების დონე გავზარდოთ.

ბედნიერი ადამიანები ესწრაფვიან ახალი მიღწევებს, აკონტროლებენ საკუთარ აზრებსა და გრძნობებს, ოპტიმისტები არიან და სწამთ, რომ მომავალში კიდევ უფრო ბედნიერები იქნებიან. მათაც აქვთ ყოველდღიური პრობლემები, სტრესი, ტრაგედია, ტკივილი – სხვა ადამიანებისაგნ არაფრით გამოირჩევნიან. მაგრამ ასევე აქვთ გასაჭირის ატანის, კვლავ ფეხზე დადგომის, სიტუაციის შემობრუნების, არ დანებების, გულის არგატეხვის უნარი.

ბედნიერებას კი ვესწრაფვით არა იმიტომ, რომ კიდევ სხვას რაიმეს შეგვძენს, არამედ ბედნიერებაა საბოლოო მიზანი და ბედნიერება გვსურს თავად ბედნიერებისათვის.

ცნობილია, რომ ადამიანები მიილტვიან ბედნიერებისაკენ, რადგან ის ძალიან სასიამოვნოა – ბედნიერი ადამიანი თავს კარგად გრძნობს. მაგრამ მეცნიერული კვლევები ადასტურებს, რომ ბედნიერება მხოლოდ ეს არ არის. ბედნიერი ადამიანი უკეთესად ფუნქციონირებს, უფრო კონტაქტურია, უკეთესი მოქალაქეა. ქვეყნისა და საზოგადოების საქმიანობაში უფრო აქტიური და უანგაროა, უფრო ჯამრთელია, უფრო ქველმოქმედია, სხვებსაც უფრო მოსწონთ და უკეთესი ლიდერია. ბედნიერი ადამიანი მეტი კრეატულობით და გამომგონებლობით გამოირჩევა, უფრო პროდუქტიულია, ჰყავს მეგობრებისა და მხარდამჭერების დიდი წრე, მაღალანაზღაურებადნი არიან, უკეთესი იმუნური სისტემა აქვთ, იშვიათია კიბოსა და გულსისძარღვთა დავადებების შემთხვევებები, ბედნიერი ადამიანები ადვილად ძლევენ გასაჭირს და უფრო დიდხანსაც ცოცხლობენ.

თუ გადავხედავთ არცთუ ბედნიერ ხალხს, ისინი ხშირად გაბრაზებულნი და გაღიზიანებულნი ჩანან, დეპრესიისკენ ადვილად იხრებიან, როგორც წესი ნორმალურად ვერ ფუნქციონირებენ, გუნდის წევრად არ გრძნობენ თავს, ცხოვრობენ იზოლირებულად, ენერგია არ აქვთ, თითქოს არაფერი სურთ, ყველაფერი ეზარებათ, არაფერი არ ახარებთ.

ბედნიერება არა მარტო ინდივიდებს ახალისებს, არამედ ამდიდრებს ოჯახებს, ორგანიზაციებს, მთლიანად საზოგადოებასაც და ქვეყანასაც. ბედნიერება განაპირობებს მაღალ შემოსავალს, შრომის მაღალ შედეგს, მაღალ პროდუქტიულობას და ხარისხს, გაზრდილ საზოგადოებრივ დაფასებას და სხვა მრავალ სიკეთეს.

ამიტომაცაა თანამედროვე ეკონომიკური და სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი საზრუნავი მოქალაქეების ბედნიერებაზე და მათი შესაძლებლობების შექმნაზე ზრუნვა. და როგორც ეკონომისტსა და სახელმწიფო მშენებლობის პროფესიონალს, ამიტომ მაინტერესებს ეს საკითხი ყველაზე მეტად.

იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს ნიმუშები და ავრიდოდეს თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოსანერად, თქვენი მოწყობილობიდან iTune-ზე მოძებნეთ „IOTA READER"

lit.ge

ფოტო: ლევან ხარბედლიძე

"ამ ეტაპზე უხეთეს საქმეს ჩემს თავს ვეხ მოვუძებნი"

ინტერვიუ თავდაცვის მინისტრ,

ირაკლი ალასანიასთან

ირაკლი ალასანიასთან ინტერვიუ მის სამუშაო კაბინეტში – თავდაცვის სამინისტროს მაღლივი შენობის მეხუთე სართულზე ჩავწერეთ. ვერ ვიხსენებ, თავდაცვის კიდევ რომელ მინისტრს მიუღია თავისთან ჟურნალისტები ერთსაათიან აუდიენციაზე. მინისტრის კაბინეტის ერთ კუთხეში ხატებია გამოფენილი. ირაკლი ალასანიას გულწრფელად გაუკვირდა ინტერვიუს ბოლოს რომ ვკითხე – არ თვლით, ამ ექსპოზიციამ, შესაძლოა, უხერხულობა შეუქმნას სხვა აღმსარებლობის სამხედრო მოხელეს, რომელიც თქვენს კაბინეტში შემოვა, ეს ხომ საჯარო სივრცეა-მეთქი? პასუხიც გულწრფელი იყო: ეს კუთხე ჩემთვისაც მნიშვნელოვანია და დასასვენებელ ოთახში, სამწუხაროდ, ამის ადგილი არ მაქვსო.

ალასანია კარგი რესპონდენტია, მაგრამ, როგორც ყველა დიპლომატი, საჩოთირო კითხვებს კარგად უვლის გვერდს. როგორც ჩანს, ის ჟურნალისტებთან ურთიერთობებში უფრო გამოცდილია, ვიდრე პოლიტიკურ ინტრიგებში.

ბოლო დროს გააქტიურდა დისკუსია, ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკად უნდა ჩამოყალიბდეს თუ საპრეზიდენტოდ. რას ფიქრობთ, როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი?

ვფიქრობ, საზოგადოებას უნდა ვკითხოთ. ეს პოზიცია მაქვს მე, როგორც პოლიტიკოსს და როგორც იმ პარტიის წარმომადგენელს, რომელიც თვლის, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი ყველაზე სწორია საქართველოსთვის. მოდელმა კი არა, თავად ლიდერებმა არ გაამართლეს – სისტემა ბოლომდე არ ამოქმედდა. სამივე შემთხვევაში ინსტიტუციური მართვის სისტემა არ იყო შემოღებული და პირად მართვას ემყარებოდა.

რა არის თქვენი მთავარი არგუმენტები საპრეზიდენტო რესპუბლიკის სასარგებლოდ?

პირველი ის არის, რომ ქვეყანას ძლიერი აღმასრულებელი სჭირდება, ძლიერი საპარლამენტო ზედამხედველობითა და ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლოთი. ჩემი აზრით, საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში პოლიტიკური და სამთავრობო კრიზისის უფრო მეტი საფრთხეა და, ბუნებრივია, ეს მთავრობის სტაბილურობაზეც აისახება. დღეს ქვეყანას ისეთი აღმასრულებელი სჭირდება, როგორიც პრეზიდენტია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ეს განხილვა არჩევნებამდეც გვქონდა. კოალიციის ლიდერთანაც გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ეს უნდა ვკითხოთ საზოგადოებას, ხალხს. თუკი საზოგადოების უმრავლესობა თვლის, რომ საპარლამენტო რესპუბლიკას უნდა მივცეთ შანსი, ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას გავიზიარებთ. თუმცა ამ საარჩევნო ციკლს ეს არ ეხება. ეს პარლამენტი კონკრეტული მანდატითაა არჩეული და ის არაა უფლებამოსილი აირჩიოს პრეზიდენტი.

წარმოგიდგენიათ ისეთი რეალობა, რომ კოალიციის მიღმა დააყენოთ თქვენი კანდიდატურა უახლოეს არჩევნებზე?

არა. აქ აბსოლუტურად გარკვეულია საკითხი, რომ არა მხოლოდ უახლოეს საპრეზიდენტო არჩევნებზე, არამედ ადგილობრივ არჩევნებზეც კოალიციას საერთო კანდიდატები ეყოლება და მე, როგორც კოალიციის ერთ-ერთი წევრი და ლიდერი, ამ აზრს ვეთანხმები.

უპირველესი ის არის, რომ ქვეყანას ძლიერი აღმასრულებელი სჭირდება, ძლიერი საპარლამენტო ზედამხედველობითა და ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლოთი. ჩემი აზრით, საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში პოლიტიკური და სამთავრობო კრიზისის უფრო მეტი საფრთხეა და, ბუნებრივია, ეს მთავრობის სტაბილურობაზეც აისახება. დღეს ქვეყანას ისეთი აღმასრულებელი სჭირდება, როგორიც პრეზიდენტია.

პრეზიდენტობას აპირებთ?

ერთს გეტყვით – როგორც ყველა სამხედროს, მეც მაქვს 20 წლის წინ ფიცი დადებული, რომ ჩემს ქვეყანას ვემსახურები. ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პატივი, რაც მამაკაცს შეიძლება ჰქონდეს, არის ის, რომ უხელმძღვანელოს თავდაცვის უწყებას და ჯარს. პოსტი თავისთავად არაფერს არ ნიშნავს, თუკი შესაძლებლობა არ გაქვს კონკრეტული რეფორმა, კონკრეტული პროგრამა განახორციელო. ჩემთვის იმდენად ხელშესახები გახდა ის ცვლილება, რომელიც გვინდა თავდაცვაში განვახორციელოთ, ამ ეტაპზე უკეთეს საქმეს ჩემს თავს ვერ მოვუძებნი. რაც შეეხება პრეზიდენრობის კანდიდატობას, შევთანხმდით, რომ კოალიციას ერთიანი კანდიდატი ეყოლება. ეს განხილვები, ალბათ, 2-3 თვეში დაიწყება და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება, ვინ იქნება ერთიანი კანდიდატი.

„ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან მონოლითური პოლიტიკური ჯგუფია, სადაც ლიდერი ყოველთვის მართალი იყო. კოალიცია უფრო პლურალისტურია, თუმცა პირველსავე შემთხვევაში, როცა თქვენს საპრეზიდენტო კანდიდატობაზე დაიწყო საუბარი, გამოჩნდა, რომ ლიდერი საკმაოდ მკაცრი იყო. მან მკაცრი განცახდებები გააკეთა და, ასე ვთქვათ, ყველას ადგილი მიუჩინა. როგორ ფიქრობთ, რამდენად ჯანსაღია ეს?

კოალიციის ლიდერმა განმარტა, რომ აქ თითქოს თანმიმდევრობა არ იყო დაცული. ანუ, მისი გადმოსახედიდან, ეს იყო პრობლემა და არა ის, რომ რომელიმე ჯგუფი ან პარტია ფიქრობდა, რომ საკუთარი კანდიდატი ჰყოლოდა. მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ შემდეგ შიდა განხილვებიც და კამათიც კიდევ უფრო ცხოველი გახდა. თუმცა, აბსოლუტურად სწორია, რომ შიგნით შევთანხმდეთ და გარეთ უკვე ერთიანი პოზიციით გამოვიდეთ. გიდასტურებთ, რომ ივანიშვილი ტოლერანტულ ლიდერად რჩება კოალიციაში.

თქვენს გუნდსა და რესპუბლიკელებს შორის კიდევ ერთი განსხვავება იკვეთება. თქვენი გუნდი უფრო პროამერიკული ჩანს, რესპუბლიკელები – უფრო პროევროპულები. პრემიერიც უფრო ევროპულ ვექტორს ავითარებს, ვიდრე ამერიკულს. ამას თქვენც ასე ხედავთ?

ვიღაცამ ძალიან მოინდომა, ეს განსხვავებები დაენახა.

დიახ, ჩვენი საქმე ეს არის.

ევრო-ატლანტიკური სივრცე ერთია. ჩვენი პარტია ატლანტისტები ვართ, და ეს განუყოფელი უსაფრთხოების სისტემაა ჩვენთვის. მაგრამ ჩემთვის ისევე მნიშვნელოვანია ევროკავშირი, როგორც ნატო. რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავებებიც, მაგრამ ყველას ერთად წარმოგვიდგენია, რომ საქართველოს ადგილი ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოების სისტემაშია.

წინა ხელისუფლება, თავისი პოზიტიურად აგრესიული მესიჯებით, ხშირად ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მისი პირდაპირი სტრატეგიული პარტნიორი უფრო ამერიკაა, ვიდრე ევროპა. ამერიკასთან ურთიერთობა უფრო კომფორტულიცაა – იქედან ერთი თავი გელაპარაკება, ევროპას კი მრავალი სახე აქვს.

მართლაც, სამხედრო კუთხით, სტრატეგიული პარტნიორი საქართველოსთვის აშშ-ა. სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია, რაც ჩვენ აშშ-თან გვაქვს, ჯერ ინსტიტუციურად არც ერთ სხვა ქვეყანასთან არ გვქონია. ამერიკის როლი განსაკუთრებულია სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, სერიოზულად დავფიქრებულიყავით, 2014 წელს ISAF-ის მანდატის ამოწურვის შემდეგ ავღანეთში მისიის გაგრძელებაზე. ბრიუსელში მთავრობის პოლიტიკური ნება დავაფიქსირე, რომ ჩვენ ახალ მისიაშიც გავაგრძელებთ მონაწილეობას. კონკრეტიკა უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

რაც შეეხება ევროპას, მოლაპარაკებები საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს ვიზებთან დაკავშირებით, ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებითაც. ჩემი აზრით, წინა ხელისუფლება შეცდომებს უშვებდა ევროპულ ქვეყნებთან, კონკრეტულად გერმანიასთან ურთიერთობაში. ისინი თვლიდნენ, რომ ვაშინგტონთან შეეძლოთ ურთიერთობების ბევრად უფრო ეფექტურად დარეგულირება, ვიდრე გერმანიასთან და საფრანგეთთან, რაც მცდარია. ამან განაპირობა ბუქარესტის სამიტის წარუმატებლობაც.

ბუქარესტის სამიტი წარუმატებელი იყო?

მაპის მოლოდინი გვქონდა და ვერ მივიღეთ. გერმანიასთან ვერ ვიმუშავეთ კარგად. ჩანაფიქრი იყო, რომ ვაშინგტონიდან შეიძლებოდა ურთიერთობების უფრო მარტივად მოგვარება, რაც სწორი არ აღმოჩნდა. ამ კუთხით იყო წარუმატებელი, თორემ თავად სამიტმა შეძლო საქართველოსთვის მაქსიმუმი მიეცა. მე სერიოზულ ბერკეტს ვხედავ ევროპაში და განსაკუთრებით გერმანიაში ჩვენი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების კუთხით, ასევე კონფლიქტების მოწესრიგების კუთხითაც. გერმანია, პოლონეთთან ერთად, სერიოზულად არის ჩართული მოლოდოვეთში დნესპრისპირეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. ამ პოტენციალს ვხედავ და აქედან გამომდინარე ევროპის მნიშვნელობას არანაირად არ ვამცირებ.

ევროპაში ინტეგრაციაზე რუსეთი ისე გაღიზიანებულად არ რეაგირებს, როგორც ნატოში გაწევრიანებაზე. ახალი მთავრობას ევროპაზე ორიენტირებულობას მისი პრორუსულობის ინდიკატორადაც მიიჩნევენ.

დავაკვირდეთ, რა მოხდა პირველი 4 თვის განმავლობაში საგარეო პოლიტიკაში. პირველი ვიზიტი ნატოში შედგა. ნატოს ძალების მხარდასაჭერად გავაგზავნეთ დამატებითი ბატალიონი ავღანეთში. გავაძლიერეთ სამხედრო თანამშრომლობა ნატოსთან.

ეს ვიზიტი შედგა ევროკავშირის დედაქალაქში. სამაგიეროდ, ჯერ არ შემდგარა ვიზიტი აშშ-ში.

ამერიკაში ვიზიტი აუცილებლად შედგება, ის მხოლოდ ტექნიკური მიზეზებით გადაიდო – იქ ახალდასრულებული იყო საპრეზიდენტო არჩევნები. მინდა გავაგრძელო საუბარი რუსეთი-ნატო-საქართველოს სამკუთხედზე. როგორც კი პატარა ეჭვს გაუჩენ, იმედს გაუჩენ რუსეთის ფედერაციას, რომ მისი პოლიტიკა შესაძლოა დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცეს ნატოს გაფართოებისთვის, პრაქტიკულად ტყვეობაში ვაგდებთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასაც. ევროკავშირთან ინტეგრაციის თუნდაც რუსეთიდან ნებადართული პროცესიც მაშინვე დასრულდება. ეს საკითხი არც კი განხილულა და არც განიხილება. მაგრამ, ნატოსთან ურთიერთობა, მხოლოდ შემდგარი წევრობის გამო არ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი. ჩვენთვის პროცესი არანაკლებ მნიშვნელოვანია. დღეს ჩვენ ნატოს ძალებთან ოპერატიული თავსებადობის შესაძლებლობა გვაქვს. მეორე – მათთან ერთად საბრძოლო გამოცდილების მიღების საშუალება გვაქვს. რუსეთთან ურთიერთობაში ნატო არასოდეს გახდება ვაჭრობის საგანი. ყველა მინისტრი, ვისაც ვხვდები, ამბობს, რომ ჩვენ გვაქვს სწორი მიდგომა, როდესაც რუსეთთან ურთიერთობაში პრაგმატიზმი შემოვიტანეთ.

წინა ხელისუფლება აგრესიული გზავნილებით ცდილობდა მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, არაღიარების პოლიტიკის დატოვებას. პაატა ზაქარეიშვილის რიტორიკა ამ მხრივ შერბილებული ჩანს.

მჯერა, რომ არაღიარების პოლიტიკა შენარჩუნებადია. რუსეთის „აღიარების პოლიტიკა“ ჩიხში შევიდა და ფაქტობრივად ჩავარდა. ნატოს, ევროკავშირის, გაეროს წევრები პრაქტიკულად არც განიხილავენ შესაძლო აღიარების საკითხს. მაგრამ ეს აბსოლუტურად არაა ბმაში იმასთან, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოს ჰქონდა არასწორი პოლიტიკა აფხზეთთან და ოსეთთან მიმართებაში. ეს მე არაერთხელ დამიფიქსირებია, როცა 2005 წელს მოლაპარაკების პროცესში ვმონაწილეობდი. დარწმუნებული ვარ, საქართველომ უნდა გააკეთოს აქცენტი ნდობის აღდგენაზე. უნდა შევიმუშაოთ ისეთი პროგრამები და პროექტები, რომელიც უკავშირდება ეკონომიკურ ურთიერთობებს,

ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ჩვენ ამის ძალიან ნათელი მაგალითი გვქონდა ერგნეთის უკანონო ბაზრობის სახით, რომელმაც პრაქტიკულად ორწელიწადნახევარში ის დიდი სისხლი დაგვავიწყა. იქამდე მივედით, რომ ჩვენ ცხინვალის გავლით დავდიოდით რაჭაში და ისინი თბილისში ჩამოდიოდნენ. აქედან გამომდინარე, მე მყარად ვდგავარ იმ პოზიციაზე, რომელსაც პაატა იზიარებს და მსოფლიოშიც ასეა აღიარებული – ნდობის აღდგენის გასაღები ეკონომიკაშია. ჩემი გამოცდილებით შემიძლია გითხრათ, რომ სტატუსთან დაკავშირებული საუბარი უახლოეს წლებში შედეგს ვერ მოიტანს. ჩვენ ქვეყნის მთლიანობას ეჭვქვეშ არ ვაყენებთ. ჩემი აზრით, ეს განსახილველ საკითხთა სიაში ნელ-ნელა უნდა გადავიდეს მეორე ადგილზე. არაღიარების პოლიტიკა შენარჩუნებული იქნება, მაგრამ აქვე უნდა დავიწყოთ აფხაზებთან და ოსებთან საუბარი, თუ როგორ შეგვიძლია ჩვენი ცხოვრება გავხადოთ უკეთესი. ვილაპარაკოთ ჯანდაცვაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოფლის მეურნეობაზე. ეს აღადგენს საზოგადოებებს შორის ნდობას და შემდეგ უკვე გადავალთ პოლიტიკურ საკითხებზე. დროის და ვადების ჩარჩოების დაწესება აბსოლუტურად უიმედო საქმეა, მაგრამ თუკი ამ გზაზე გადავალთ, ურთიერთობის აღდგენის ახალი შესაძლებლობები გამოჩნდება.

2005 წელსაც დარწმუნებული ვიყავი, რომ გვყოფნოდა გამბედაობა და გაგვეფორმებინა ხელშეკრულება თავდაუსხმელობისა და დევნილების დაბრუნების თაობაზე, აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ისეთ პროცესებს დავიწყებდით, რომ რუსეთის ფედერაცია ომის პროვოცირებას ვერ შეძლებდა.

ჟენევის პროცესის პარალელური პროცესის გაჩენა, როცა ზურაბ აბაშიძე ჟენევაში რუსეთის მხრიდან მთავარ მომლაპარაკებელს, გრეგორი კარასინს სხვა ფორმატში ხვდება, ამას ხელს უწყობს? კარასინისთვის, ალბათ, ბევრად კომფორტულია ზურაბ აბაშიძესთან პირდაპირი საუბარი, ვიდრე ჟენევაში სხვა მხარეებთან ერთად.

ვერ დაგეთანხმებით, რომ ეს ორი პარალელური პროცესია. ბატონ აბაშიძეს ძალიან კონკრეტული და ნათელი მანდატი აქვს. ის რუსეთის ფედერაციასთან ჩვენი სავაჭრო ურთიერთობების აღდგენაზე და ჰუმანიტარული ურთიერთობების განვითარებაზე საუბრობს. პოლიტიკურ სტატუსთან, დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული პროცესი ჟენევაში რჩება და იქვე გაგრძელდება.

დარწმუნებული ვარ, საქართველომ უნდა გააკეთოს აქცენტი ნდობის აღდგენაზე. უნდა შევიმუშაოთ ისეთი პროგრამები და პროექტები, რომელიც უკავშირდება ეკონომიკურ ურთიერთობებს, ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

ეს როგორ უნდა წარმოვიდგინოთ? თუ, მაგალითად, ბატონი კარასინი ზურაბ აბაშიძესთან პოლიტიკური საკითხის განხილვას გადაწყვეტს და დაურეკავს, მან ტელეფონი უნდა გათიშოს?

ბატონი აბაშიძე იმდენად გამოცდილი დიპლომატია, რომ...

კარასინიც...

ის კარასინს ტელეფონს ნამდვილად არ გაუთიშავს და დარწმუნებული ვარ, მოახერხებს სწორი პასუხის გაცემას და დაკვალიანებას, ვის დაელაპარაკოს იმ კონკრეტულ საკითხზე.

ანუ, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ზურაბ აბაშიძე ამ მანდატის ფარგლებს მკაცრად არ გაცდება, მიუხედავად იმისა, რომ რუსული მხარე, სავარაუდოდ, შეეცდება მასთან სხვა საკითხებიც განიხილოს?

შეხვედრაზე მოლაპარაკების დღის წესრიგი ყოველთვის გარკვეულია. თუ არაფორმალური განხილვები შედგა, მომხრეც ვიქნები, რომ სახალხო დიპლომატია და კულტურის წარმომადგენლები ჩაერთონ. მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს რუსეთში და ეს რესურსია. ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობები, სამუშაო ურთიერთობებიც შედგეს. მთავარი და მნიშვნელოვანი, რასაც უცხოელებთანაც ხშირად ვამბობ ესაა – არ არსებობს არანაირი არხი, რომელიც დამალულია. ეს პრემიერ-მინისტრის პრინციპული მოთხოვნა იყო. ყველაფერი იქნება საჯაროდ, არსებულ ფორმატებში.

საუბრობენ იმაზე, რომ თქვენ, აპატურაისთან შეხვედრაზე, მოახერხეთ მისი დარწმუნება, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების სამართლებრივი დევნა პოლიტიკური ზეწოლა არ არის, როგორც ამის წარმოჩენას თავად ცდილობენ...

პოლიტიკური დინამიკა ნატოში ძალიან აინტერესებთ. ყველა საკითხი, რასაც ერთობლივად განვიხილავთ, ყოველთვის გრძელდება იმით, თუ რამდენადაა პოლიტიკური სტაბილურობა საქართველოში არჩევნების შემდეგ. ბუნებრივია, მათ აქვთ ინფორმაცია ჩვენი ოპონენტების მხრიდან და ბუნებრივად ინტერესდებიან, რა ხდება რეალურად. სიმართლე გითხრათ, სასიამოვნოდ განცვიფრებული ვიყავი, იმდენად დეტალური ცოდნა აქვთ. ეტყობა აქაური მისიებიც, საელჩოებიც კარგად მუშაობენ. მათ კიდევ ერთხელ აღნიშნეს, წარმოდგენაც არ გვინდა, რომ საქართველოში პოლიტიკური დევნა არსებობსო. გამოძიება უნდა იყოს გამჭვირვალე – ეს მათი ერთადერთი მოთხოვნაა. ასეთი საღი პოზიციის პირობებში ჩვენთვის ბევრად უფრო ადვილია ვითარების ახსნა. ყველას კარგად ესმის, რა პრობლემების წინაშე დგას ჩვენი მართლმსაჯულება და ამ პრობლემების გამოსწორება ერთ ღამეში რომ არ შეიძლება.

ესაუბრა: ირაკლი აბსანძე

თვალსაზრისი

თურქულ-ქართული ინტერესები

ვასო კუჭუხიძე

14 თებერვალს ანკარას ერთდღიანი ვიზიტით საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქართული სამთავრობო დელეგაცია ესტუმრა. თურქეთში პრემიერ მინისტრს თან ახლდნენ საგარეო საქმეთა, თავდაცვის, ეკონომიკის, ენერგეტიკის მინისტრები და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ თურქეთთან თანამშრომლობის საკითხს განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდება.

თურქეთის პრემიერთან, პრეზიდენტთან, პარლამენტის სპიკერთან და სხვა მინისტრებთან გამართული შეხვედრების შემდეგ მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისა და ეკონომიკური კავშირების გაზრდის აუცილებლობას. საქართველოსთვის თურქეთთან პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავება მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და მრავალ საკითხს ეფუძნება, თუმცა ახალი ხელისუფლების პრიორიტეტებიდან განსაკუთრებით სამი მათგანის გამოყოფა შეიძლება.

თბილისის დაინტერესება უპირველესად უსაფრთხოების საკითხებიდან გამომდინარეა განპირობებული. თურქეთი არის იმ ორგანიზაციის ანგარიშგასაწევი წევრი, რომელში ინტეგრაციაც „ქართული ოცნებისთვის“ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. ანკარას შეუძლია საქართველოს ნატოში გაწევრიანებას საკმაოდ შეუწყოს ხელი. გარდა ამისა, ანკარასა და თბილისს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სამხედრო სფეროში აშკარად გაზრდის ქართული სამხედრო ძალების პოტენციალს და ქვეყნის უსაფრთხოებას.

მნიშვნელოვანია ეკონომიკური თანამშრომლობაც. საქართველოსთვის თურქეთი ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ 1.5 მილიარდ დოლარს მიაღწია და ამ ციფრის გაზრდის პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ასევე აღსანიშნავია ახალი ხელისუფლების მესამე პრიორიტეტიც, რაც მას წინა მთავრობის სტრატეგიიდან განასხვავებს. კერძოდ, საუბარია „ქართული ოცნების“ მზადყოფნაზე შიდა კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში აქტიურ მედიატორად ჩართოს თურქული მხარე, რაც პროცესებს ახალ დინამიკას შესძენს.

რაც შეეხება თურქეთის ინტერესებს, ევროკავშირთან გაწელილმა ინტეგრაციის პროცესმა ანკარას საგარეო პოლიტიკას მულტიცენტრისტული ხასიათი შესძინა. თურქეთი დღეს არ არის მხოლოდ დასავლეთთან თანამშრომლობაზე ორიენტირებული ქვეყანა და მის ინტერესებში ხვდება ყველა ის რეგიონი, რომელთანაც ისტორიულად მრავალწლიანი პოლიტ-ეკონომიკური თანაცხოვრება აკავშირებს. ანკარა ამ რეგიონებში შეღწევას და საკუთარი გავლენის გაზრდას კი მოქნილი საგარეო პოლიტიკითა და ეკონომიკური ინიციატივის საშუალებებით ცდილობს.

სწორედ ამ პოლიტიკის ნაწილია თურქეთის განსაკუთრებული დაინტერესება კავკასიის რეგიონით. ოსმალეთის იმპერია შუა საუკუნეებიდან მოყოლებული კავკასიას საკუთარ „უკანა ეზოდ“ მოიაზრებდა. მართალია, დღეს ოფიციალური ანკარა გავლენის სფეროებზე საუბარს თავს არიდებს, მაგრამ კავკასიაში მისი ინტერესები უსაზღვროა. პირველ რიგში, თურქეთის ყურადღებას იქცევს კასპიის ზღვის რეგიონის ენერგორესურსები. უხეში გათვლებით კასპიის რეგიონში მსოფლიო ნავთობის მარაგის 12% და გაზის 15% არის განთავსებული. გარდა ამისა, ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე, ენერგორესურსების ტრანსპორტირების მცირე ხარჯები კავკასიის რეგიონს თურქეთის თვალში კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თურქეთი აღარ კმაყოფილდება იყოს ენერგორესურსების მხოლოდ ტრანზიტორი ქვეყანა და მისი სტრატეგია მიმართულია იქეთკენ, რომ მსოფლიო ენერგოპოლიტიკაში რესურსების გამანაწილებელ სერიოზულ მოთამაშედ იქცეს. ამ პოლიტიკაში კი საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგანაც ბლოკი-

საქართველოსთვის თურქეთი ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ 1.5 მილიარდ დოლარს მიაღწია და ამ ციფრის გაზრდის პოტენციალი საკმაოდ მაღალია.

რებული სომხეთის პირობებში სწორედ ის წარმოადგენს თურქეთისთვის უმოკლეს გზას კასპიის ზღვის ენერგორესურსებზე მისაწვდომად. ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო თურქეთისთვის საინტერესოა როგორც მცირე, თუმცა სტაბილური გასაღების ბაზარი საკუთარი პროდუქციისათვის.

თურქეთისთვის კავკასია მნიშვნელოვანია უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. რეგიონში არსებული ეთნიკური კონფლიქტები საფრთხეს უქმნის არამატრო ზემოდხსენებულ ეკონომიკურ თუ კულტურულ ინტერესებს, არამედ თურქეთის ეროვნულ უსაფრთხოებასაც. სწორედ ამიტომაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შემდეგ ანკარამ წამოაყენა ინიციატივა კავკასიის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პლათფორმის შექმნის შესახებ, რაც ითვალისწინებდა რეგიონში 5 სახელმწიფოს აღიარებას, რომლებიც უნდა გამხდარიყვნენ რეგიონული უსაფრთხოების გარანტი. აღნიშნული ინიციატივით, თურქეთი ცდილობდა არ დაეშვა მესამე ძალის აშშ/ევროკავშირის ჩარევა რეგიონული უსაფრთხოების

მართალია, დღეს ოფიციალური ანკარა გავლენის სფეროებზე საუბარს თავს არიდებს, მაგრამ კავკასიაში მისი ინტერესები უსაზღვროა.

საკითხებში. საკმაოდ რთულ გეოპოლიტიკურ რეალობაში პლატფორმის საშუალებით თურქეთი მიზნად ისახავდა პარტნიორული ურთიერთობების შენარჩუნებას აზერბაიჯანსა და საქართველოსთან იმგვარად, რომ რუსეთთან მოკავშირეობას საფრთხე არ შექმნოდა.

მართალია, რუსული და თურქული ინტერესები კავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში, ერთმანეთს უპირისპირდება, მაგრამ სწორედ ამგვარ ინიციატივებში მონაწილე მხარედ ჩართვის შეთავაზებით ცდილობს ანკარა გარკვეული ბალანსის დაცვას და მოსკოვთან პარტნიორობის შენარჩუნებას. ორ ქვეყანას შორის კი ეკონომიკური თანამშრომლობა სულ უფრო გრანდიოზულ მასშტაბებს იძენს და განსაკუთრებით თურქულ ინტერესებზე მოქმედებს პოზიტიურად. რაც შეეხება პოლიტიკურ თანამშრომლობას, გერმანია-საფრანგეთის ლიდერების შემდეგ არც ერთი ორი ქვეყნის მეთაური იმდენჯერ არ ხვდება ერთმანეთს ყოველწლიურად, რომდენჯერაც ერდოღანი და პუტინი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ორი ქვეყანა ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური ინტერესების მიუხედავად კონსესუსის მიღწევას სწორედ აქტიური მოლაპარაკებებით ახერხებს.

გარდა ამისა, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ თურქეთი დღეს ეთნიკურ და კულტურულ ნათესაობას განსაკუთრებული ყურადღებას აქცევს. საქართველო კი ამ მხრივ ორმაგად საინტერესოა – პირველ რიგში, როგორც ხიდი ეთნიკურად მონათესავე აზერბაიჯანთან და ცენტრალურ აზიასთან დასაკავშირებლად. მეორე მხრივ, კი თავად საქართველოში რუსული ორასწლიანი მმართველობის განმავლობაში შესუსტებული თურქული კულტურული ელემენტების აღსადგენად.

სწორედ ზემოდხსენებული რამდენიმე მიზეზიდან გამომდინარე ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები და მას შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენები თურქეთში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ანკარაში არსებობდა გარკვეული შიში, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიღწეულ ბალანსს და თურქეთის სამომავლო გეგმებს კავკასიაში შესაძლოა საფრთხე შექმნოდა. დისკომფორტს ქმნიდა ის ფაქტი, რომ თურქეთში არ გააჩნდათ სათანადო ინფორმაცია იმის გასაანალიზებლად, თუ რა საგარეო პოლიტიკურ კურს აირჩევს „ქართული ოცნება“.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების გამარჯვებასა და საქმიანობას თურქული მედია ნეგატიურისკენ გადახრილი ნეიტრალურობით აფასებდა, ხოლო აკადემიურ-ანალიტიკურ წრეებში, პირიქით, პოზიტიურისკენ გადახრილი ნეიტრალური შეფასებები სჭარბობდა. რაც შეეხება ოფიციალურ ანკარას, ის 14 თებერვლის შეხვედრებამდე დაკვირვებისა და ლოდინის პოლიტიკას ატარებდა. პრემიერის ანკარაში ვიზიტის უაღრესად პოზიტიური გამოხმაურებისა და მიღწეული შეთანხმებების მიუხედავად ანკარას კიდევ გარკვეული ხანი გაჰყვება დაკვირვებისა და ლოდინის პოლიტიკის ნიშნები, სანამ, ერთი მხრივ, ორივე მხარის მხრიდან პარტნიორობის შესანარჩუნებლად არ გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები და, მეორე მხრივ, მოსკოვსა და თბილისს შორის მომავალი ურთიერთობების კონტურები აშკარად არ გამოიკვეთება.

რაც შეეხება რკინიგზების ყბადაღებულ თემას, ამ მხრივ ანკარასთვის ორივე პროექტი მომგებიანია. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი თავად ანკარა არის და ის თურქეთს უშუალოდ რკინიგზით დააკავშირებს აზერბაიჯანთან. თუმცა ანკარასთვის ეკონომიკური თვალსაზრისით აფხაზეთში რკინიგზის აღდგენის ინიციატივაც მომგებიანია. პირველ რიგში, ამ პროექტზე მიერთებით თურქეთი რუსეთს დაუკავშირდება რკინიგზით და მზარდი ეკონომიკური თანამშრომლობის პირობებში ეს თურქეთისთვის მომგებიანი იქნება. გარდა ამისა, თურქეთში არსებული აფხაზური დიასპორა დიდი ხანია ცდილობს აფხაზეთში ინვესტიციების განხორციელებას და რკინიგზის გახსნა ამას შედარებით გაამარტივებს. თუმცა გასათვალისწინებელია ბაქოს ნეგატიური დამოკიდებულება ამ პროექტის მიმართ, ეს ანკარაზეა დამოკიდებული, ის მხარს დაუჭერს აზერბაიჯანს და აფხაზური რკინიგზის ინიციატივას წინააღმდეგობას გამოუცხადებს, თუ ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ბაქოს დარწმუნებას ეცდება.

ყოველ შაბათს 11:20
მეცხრე არხის ეთერში

PRESS-ზონა

ალექო გრიგალაშვილთან

ყველა ფერადი საკითხი

tv 9

ჩინური "ვენეცია" თბილისის ზღვაზე

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 2015 წლის ახალგაზრული ოლიმპიური ფესტივალისთვის ოლიმპიური სოფლისა და კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით მედიასა თუ ინტერნეტში სხვადასხვა სახის ინფორმაცია გავრცელდა. ცნობა, რომ ჩინური კორპორაცია „ხუალინგი", რომელიც ამ კოპლექსს აშენებს, 126 ათასი ჩინელის ჩამოსახლებას აპირებდა, საპროტესტო აქციისა და საზოგადოების ვნებათაღელვის მიზეზი გახდა. ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩინურ კორპორაციასთან გაფორმებულმა ხელშეკრულებამ კითხვები ახალი სამთავრობო გუნდის წევრებსაც გაუჩინა.

ავტორი: გიორგი ჭეიშვილი, ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ვაზისუბანში პირამიდის ფორმის გამჭვირვალე პოლიციის შენობასთან მარჯვნივ თუ შეუხვევთ და პირდაპირ ივლით, მოასფალტებული გზის ბოლოს დაცვის საგუშაგოს შლაგბაუმს დაყრდნობილ მცველსა და მის რაციამომარჯვებულ კოლეგას შეამჩნევთ. ჰო, კიდევ ტალახიან გზას, ორ მწკრივად აშენებულ ყვითლად შეღებილ შენობებს და ათამდე ბანერსაც ნახავთ. ბანერებზე ჩანს, რომ თბილისის ზღვის მიმდებარე 420 ჰექტარზე დაგეგმილი კომპლექსის მშენებლობა დასრულებულ სახეს იძენს.

ყვითელი შენობები მთავარი სავაჭრო ზონის პავილიონებია. აქვე იგეგმება სავაჭრო ცენტრის აშენებაც. მასპინძლები გვიხსნიან, რომ ტალახიანი გზა, რომელითაც ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ოლიმპიური სოფლის მშენებარე კორპუსებისკენ მივდივართ, ხევის ამოვსების შედეგად გაჩნდა, მიმდებარე ტერიტორია კი, გაწმენდამდე სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელი იყო.

საგუშაგოდან დაახლოებით კილომეტრნახევრის გავლის შემდეგ თუნუქის ფირფიტებით შემოსაზღვრული, მოხრეშილი ტერიტორია იწყება. ოლიმპიური სოფლის კორპუსების სამშენებლო სამუშაოებს 150-მდე ადამიანთან ერთად სამი ამწე ასრულებს.

„ამ ეტაპზე 4 საცხოვრებელი კორპუსი გვაქვს ასაშენებელი, ოთხივე კორპუსი დაახლოებით ერთნაირ მდგომარეობაშია – სარდაფის კედლების არმატურები დამთავრებულია, ყალიბებზე მონტაჟდება და ალბათ ერთ კვირაში ბეტონს ჩავასხამთ. ვფიქრობთ, რომ სექტემბრის ბოლოსთვის თორმეტივე სართულზე რკინა-ბეტონის სამუშაოები დასრულდება, წლის ბოლოს კი მუშაობა სრულად დამთავრდება“,– ამბობს კომპანია „მიქსორის“ სამშენებლო სამსახურის უფროსი გია გათენაშვილი.

2015 წელს თბილისში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ოლიმპიურ სოფელს ჩინური კორპორაცია „ხუალინგი“ აშენებს.

საქართველოს ყოფილ მთავრობასთან პროექტზე ხელშეკრულება 2012 წლის 30 მარტს გაფორმდა. კომპანიის მიერ თბილისის ზღვაზე დაგეგმილი მშენებლობის ამსახველ ვიდეორგოლში აღნიშნულია, რომ „პროექტის დაგეგმვის, კონტრუქციისა და მოლაპარაკებების დროს საქართველოს პრეზიდენტი პირადად შეხვდა „ხუალინგის“ დელეგაციას და დაესწრო კონტრაქტზე ხელმოწერის ცერემონიას, ხოლო სუფთა, ეფექტური მთავრობისა და კომპეტენტური ლიდერების მიერ გამოჩენილმა მხარდაჭერამ და ყურადღებამ დიდი გავლენა მოახდინა ჯგუფზე, გაამყარა რა „ხუალინგის“ თავდაჯერებულობა და სიმტკიცე, განახორციელოს ინვესტირება საქართველოში“.

ვიდეომასალაში თბილისის მერი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი და ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ვერა ქობალიაც ფიგურირებენ.

კორპორაცია „ხუალინგი“ ჩინურ კომპანიათა იმ ჯგუფს წარმოადგენს, რომლის საქმიანობის ძირითადი სფერო როგორც ჩინეთში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, შუა აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში მსხვილი დეველოპერული პროექტების განხორციელებაა.

თბილისის ზღვაზე მიმდინარე საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონის მშენებლობასთან დაკავშირებით მომზადებულ ვიდეორგოლში პროექტის კონცეპტუალური სქემაა ასახული. ეკონომიკური ზონა მოიცავს ერთ ღერძს, ორ ფრთას, სამ არეს და სიმბოლურად პეპლის ფორმა აქვს, „კომპაქტური განლაგებითა და მოსახერხებელი ობიექტებით“ – „ხუალინგის“ საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონა, რომელიც რეგიონული, ეკონომიკური განვითარებისა და მომავალი ურბანული ზრდისკენ არის მიმართული, ახალ საერთაშორისო რეგიონულ კომერციულ სავაჭრო ცენტრად უნდა გადაიქცეს“.

აქვე აღნიშნულია, რომ „ხუალინგ“ ჯგუფი 1988 წელს, სინძიანში დაარსდა და ჩინეთში 4 განვითარებულ საბითუმო ბაზართან ერთად 4 მილიონ კვადრატულ მეტრ კომერციულ ფართს ფლობს.

საქართველოში ინვესტირება ჯგუფმა 2007 წლის ბოლოს დაიწყო. კომპანიას 48 000 კუბური მეტრი ხე-ტყის მოპოვებზე აქვს ლიცენზია, დაიწყო თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მშენებლობა ქუთაისში, 2012 წელს კომპანია Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co. Ltd. „ბაზისბანკის“ აქციათა 90%-იანი წილის მფლობელი გახდა. როგორც „ბაზისბანკის“ საიტზე ვკითხულობთ, ეს გარიგება პირველი შემთხვევაა, როდესაც ჩინურმა კერძო კომპანიამ კომერციულ ბანკში აქციათა მნიშვნელოვანი წილი შეიძინა.

ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ მინიმუმ 150 მილიონი ა.შ.შ. დოლარის ინვესტირების, 3800 სპორტსმენის განთავსებისთვის საჭირო 50 000 m^2 საცხოვრებელი ფართის კორპუსების, მინიმუმ 200 ნომრიანი 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს, 100

ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ მინიმუმ 150 მილიონი ა.შ.შ. დოლარის ინვესტირების, 3800 სპორტსმენის განთავსებისთვის საჭირო 50 000 m^2 საცხოვრებელი ფართის კორპუსების, მინიმუმ 200 ნომრიანი 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს, 100 000m^2 ფართობის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრისა და 50 000 m^2 ფართის საცხოვრებელი ბინების აშენების ვალდებულება აიღო.

000m^2 ფართობის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრისა და 50 000 m^2 ფართის საცხოვრებელი ბინების აშენების ვალდებულება აიღო.

ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების პერიოდში, ოლიმპიური სოფელი ქართულ მხარეს 3 თვის ვადით უსასყიდლოდ გადაეცემა, მისი დასრულების შემდეგ კი, საინვესტიციო პროექტით შექმნილი უძრავი ქონებით სარგებლობა და მისი შეძენა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება.

თბილისის ზღვაზე მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით მედიასა და სხვადასხვა ინტერნეტ ფორუმებსა თუ სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პროექტის დასრულების შემდეგ ამ ტერიტორიაზე 126 ათასი ჩინელის ჩამოსახლება იგეგმებოდა.

კომპლექსის მშენებლობისა და 126 ათასი ჩინელის ჩამოსახლების შესახებ 2012 წლის 22 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმაც ისაუბრა.

ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია პროექტის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა მიაწოდა.

„სამი მინისტრი მოვიდა ჩემთან, მოიტანეს პროექტი, რომ ასეთი საოცრება შენდება თბილისის ზღვაზე. ვერკვევით ჩვენ ამაში, წინასწარ არ მინდა პასუხი გაგცეთ, 126 ათასი კომპაქტურად დასახლებული [ჩინელი] ალბათ არ იქნება სასურველი. ყველა სახელმწიფოს აქვს კანონი ამასთან

დაკავშირებით... საოცარია, რომ ეს საიდუმლო იყო და საზოგადოებამ არ იცოდა... მინისტრები დავაწყნარე და ვუთხარი, რომ კონტრაქტში მაინცდამაინც ჩინელების ჩამოსახლების შესახებ არ წერია და თუ ასეთი რაოდენობის ინვესტიცია ჩაიდება, ჩვენ მას მივესალმებით. კონტრაქტი არ იძილევა იმ ეჭვების საფუძველს, რაც გაჩნდა, მაგრამ ამათი სიჩუმე კი იძლევა იმის საფუძველს, რომ შეთანხმება შეიძლება პირობითი იყო, ამას გავარკვევთ," – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ვაზისუბნის დასახლებაში მიმდინარე მშენებლობას „ქართული დასის" ლიდერიც გამოეხმაურა. ჯონდი ბაღათურია აცხადებდა, რომ ჩინურ კომპანიასთან ფარულად გაფორმებული მსხვილი კორუფციული შეთანხმების მიხედვით, თბილისთან ახლოს ჩინური ქალაქისა და სოფლების აშენება იგეგმებოდა, სადაც ჩინეთის 127 ათასი მოქალაქე უნდა ჩამოესახლებინათ.

თბილისში დაგეგმილი თავისუფალი ეკონომიკური ზონის გახსნის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციის შესახებ "რადიო თავისუფლების" ევროპის ბიურომ სტატია სათაურით – „ქართველების პროტესტი ჩინელების საქართველოში ყოფნის გამო იზრდება" გამოაქვეყნა.

სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველოს „ეროვნული ფრონტის" წარმომადგენლები გასულ წელს ჩინურ კომპანიასა და საქართველოს ყოფილ ხელისუფლებას შორის ხელმოწერილი შეთანხმების გასაჯაროებასა და ახალი მთავრობის მიერ ქვეყანაში ჩინელთა შემოსვლასა და დასაქმებაზე შეზღუდვების დაწესებას მოითხოვდნენ.

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე დაწყებული მშენებლობის გარშემო შექმნილი სიტუაციის გასარკვევად, კორპორაცია „ხუალინგის" წარმომადგენლებმა 2013 წლის 18 თებერვალს პრეს-კონფერენცია გამართეს.

კორპორაციის ოფიციალურ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ქართულ ბაზარზე გამოჩენის პირველი დღიდან „ხუალინგი" ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და მისი სრული დაცვით მოქმედებს. ასევე, განუხრელად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და ინვესტირება შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს.

„ხუალინგის" წარმომადგენლები 126 ათასი ჩინელის შესაძლო ჩამოსახლების თემასაც შეეხნენ და განმარტეს, რომ ბოლო დროს მედიით გავრცელებული ხმები მცდარი, მოარული მოსაზრებაა და ამ ინფორმაციის წყარო კორპორაციისთვისაც უცნობია.

„ჩვენი პროექტით შექმნილი ქონებით სარგებლობა და მისი შესყიდვა შესაძლებელი იქნება ყველა ქვეყნის მოქალაქისათვის, თუმცა პირველ რიგში ეს საქართველოს ბაზარზეა გათვლილი. მრავალწლიანი პროექტის პირვანდელი სახეც და შინაარსიც ქართულ ბაზარსა და მის მოთხოვნილებებზე იყო გათვლილი. მთელ ტერიტორიაზე – 420 ჰექტარზე დაახლეობითი და კონკრეტული გეგმარება გვაქვს. ოლიმპიური სოფელი თითქმის 10,8 ჰექტარს იკავებს, 2015 წლამდე უნდა დავასრულოთ, ოლიმპიადის დასრულების შემდეგ კი პროექტის შემდგომი ეტაპების განხორციელებაა დაგეგმილი. თბილისის ზღვის პროექტში ახლა 659 ადამიანია დასაქმებული, აქედან 531 საქართველოს მოქალაქეა. კორპორაციის ოფიციალურ საიტზე შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ჩვენი მთავარი საქმიანობა დეველოპერული პროექტებია", – განაცხადა „ხუალინგის" გენერალურმა დირექტორმა ვანგ შენგსინმა.

ვანგ შენგისინის თქმით, საქართველოს მთავრობისგან მათ წინააღმდეგობა არ ჰქონიათ, თუმცა მიუხედავად ამისა, ნებისმიერ დროს მზად არიან ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

„ახლანდელ მთავრობასთან შეხვედრები გვქონდა, შევხვდით პარლამენტის ვიცე-სპიკერსაც, რომელმაც სამშენებლო ობიექტიც დაათვალიერა. ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასთანაა ხელმოწერილი, ასე რომ ყველა მისი პირობა, ისევე როგორც ჩვენთვის, ღიაა მთავრობისა და მისი წევრებისთვისაც. ვფიქრობ, ხელისუფლებასთან დეტალური საკითხები იქნება გასარკვევი", – განმარტა კორპორაციის გენერალურმა დირექტორმა.

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე კომპლექსის მშენებლობის თემას საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ზაზა გაბუნიაც გამოეხმაურა, რომელმაც თბილისის მერი კორუფციულ გარიგებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ გასული წლის 14 თებერვალს გიგი უგულავამ შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე მშენებლობის ნებართვის ბრძანება გასცა.

ქალაქ თბილისის მერის №1 ბრძანების – „თბილისის თვითმმართველი ერთეულის მიერ სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ" მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ან/და ქვეყნისათვის სოციალური ან/და ეკონომიკური თვალსაზრით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის

„კონტრაქტის ზოგიერთი მუხლი პირადად მე არ მოწმონს, თუმცა ვერ ვიტყვი რომ ეს არის საფუძველი რიგი ქმედებებისა. კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები განხილვის სტადიაშია და დღეს მე რომ ვაფორმებდე ამ ხელშეკრულებას, გაცილებით სხვაგვარი პირობებით მოვაწერდი კონტრაქტს ხელს".

განხორციელება სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმების გარეშეა შესაძლებელი.

ზაზა გაბუნია აცხადებს, რომ აღნიშნული ბრძანების გამოცემის შემდეგ საქართველოში ჩინური კომპანია „ხუალინგი“ შემოვიდა, რაც ადასტურებს ფაქტს, რომ თბილისის მერის მიერ გაცემული ბრძანება თბილისის ზღვაზე ჩინური კომპანიის მიერ მრავალმილიარდიანი პროექტის განხორციელებას უწყობდა ხელს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ თბილისის საკრებულოს 2012 წლის ივნისის გადაწყვეტილებაზეც საუბრობს და ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილებით ჩინური კომპანია 5 წლის განმავლობაში გადასახადებისგან თავისუფლდება, საქმიანობის მეექვსე წლიდან კი მხოლოდ მიზერული თანხის გადახდა მოუწევს. ზაზა გაბუნია აღნიშნავს, რომ თბილისის მერის ასეთი გადაწყვეტილება პროექტთან დაკავშირებით მისი სხვა ინტერესების შესახებ აჩენს ეჭვს.

„ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ამ საკითში ჩემთვის მთავარი დედაქალაქის მერის როლია. 7 წლის განმავლობაში მან №1 ბრძანება 2012 წლის 14 თებერვალს გამოსცა. 28 თებერვალს, საქართველოში კომპანია „Hualing International Special Economic Zone“ დარეგისტრირდა, შემდეგ კი სამშენებლო პროცესი დაიწყო. ეს ქრონოლოგიური ხაზი მეტყველებს იმაზე, რომ ბრძანების სახით გამოცემული გადაწყვეტილება არ იყო ზოგადი ხასიათის და პირდაპირ უკავშირდებოდა კონკრეტული კომპანიის ინტერესებს. რატომ იღებს თბილისის მერი ისეთ გადაწყვეტილებას, რომლითაც მრავალმილიარდიანი პროექტის განხორციელების შესაძლებლობის უფლებას ყოველგვარი შეთანხმების გარეშე რთავს?! აქ რაღაც გარკვეული გარიგების ნიშნებს ვხედავ, რომლებიც ზედაპირზე არ ჩანს. თბილისის მერს რაიმე სახის ფინანსური ინტერესი რომ არ ჰქონოდა, შეუძლებელია რომელიმე კომპანიისთვის ასეთი კარტ-ბლანში მიეცა. ვფიქრობ, ამ თემასთან დაკავშირებით საკმარისი წინაპირობაა, რომ გამოძიება დაიწყოს, მაგრამ ძალიან ფრთხილად; ეს არ ნიშნავს, რომ ოლიმპიური სოფლის მშენებლობას ხელი უნდა შეეშალოს, თუმცა მის საფარქვეშ სხვა საქმიანობის, მათ შორის შესაძლო კორუფციული საქმიანობის განხორციელება აღკვეთილი უნდა იქნას, რისთვისაც პროკურატურას და ფინანსთა სამინისტროს მივმართე“, – ამბობს ზაზა გაბუნია.

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობის შესახებ საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ ამ საკითხზე სამინისტროს სამუშაოები ჯერ არ დაუსრულებია, თუმცა კორპორაცია „ხუალინგთან“ გაფორმებულ კონრაქტში არის ისეთი მუხლები, რომლებიც კითხვებს აჩენს – „კონტრაქტის ზოგიერთი მუხლი პირადად მე არ მოწმონს, თუმცა ვერ ვიტყვი რომ ეს არის საფუძველი რიგი ქმედებებისა. კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები განხილვის სტადიაშია და დღეს მე რომ ვაფორმებდე ამ ხელშეკრულებას, გაცილებით სხვაგვარი პირობებით მოვაწერდი კონტრაქტს ხელს“.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, კორპორაციის წარმომადგენლებთან პირველი შეხვედრისას საქართველოში ჩინელების შესაძლო ჩამოსახლების შესახებაც გაჟღერდა ინფორმაცია.

„კომპანიის დამფუძნებელთან შევხვედრისას, მან კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია და თქვა, რომ ობიექტები ღიად გაიყიდება, თუმცა, კიდევ ვამბობ, რომ ღია გაყიდვა საბაზრო პროცესია და შედეგის პროგნოზირებას დღეს ვერ გავაკეთებთ. გენ-გეგმის მიხედვით რიცხვი 126 ათასი ამ ტერიტორიაზე მოსახლე და მომუშავე ადამიანების რაოდენობაა. ეს რიცხვი არ ნიშნავს, რომ კომპლექსში მაინცდამაინც 126 ათასი ადამიანი უნდა ჩამოსახლებულიყო. ბოლო ინფორმაციით, ისინი ამცირებენ იმ ადამიანების რაოდენობას, რომლებიც ამ ტერიტორიაზე დასახლდებიან. დღეს სხვა სახის კომენტარის გაკეთება, სამწუხაროდ, არ შემიძლია“, – განაცხადა საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა.

პროექტთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვე-

ბს კორპორაცია „ხუალინგის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი პასუხობს. თინათინ შიშინაშვილი ამბობს, რომ კორპორაციას, მერიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება საიდუმლო არ ყოფილა – „როგორც მერიის წარმომადგენელმა განაცხადა, სტრუქტურა ამ ხელშეკრულების გასაჯაროებას აპირებს. დოკუმენტში არაფერია დასამალი. არც ტერიტორია გაყიდულა ერთ ლარად, სხვა ფასად არის გასხვისებული. ობიექტი მინიმუმ 150 მილიონი ლარის ჩადებითა და შემდგომი ვალდებულებებით არის დატვირთული. კომერციული პროექტის ფარგლებში, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული და ყველანაირად ცდილობს ადგილობრივი ბაზრის ათვისებას, საქართველოში სხვა ქვეყნის მოქალაქეების ორგანიზებული, მასობრივი ჩამოსახლება არ იგეგმება. როდესაც ოლიმპიადის შემდგომი ეტაპის განვითარება დაიწყება, პროექტში, შესაძლოა, ქართველი, ჩინელი ან სულაც სხვა ქვეყნის ინვესტორები ჩაერთონ“.

თინათინ შიშინაშვილის თქმით, სამშენებლო ნებართვის აღებასთან დაკავშირებით კორპორაციას არანაირი შეღავათები არ აქვს, არც გადასახადებისგან არის გათავისუფლებული და არც თბილისის მერის № 1 ბრძანება ეხება – „ჩვეულებრივად ვიბეგრებით და ყველა გადასახადს ვიხდით. ერთადერთი შეღავათი მხოლოდ ოლიმპიური სოფლის მშენებლობისთვის შემოტანილ მასალაზე ვრცელდება“, – ამბობს კორპორაცია „ხუალინგის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

ურბანისტ-არქიტექტორი ლადო ვარდოსანიძე მიიჩნევს, რომ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე პროექტი ძირითადად ქართველ მომხარებელზე არ არის გათვლილი, ამასთანავე დასათვლელია, თუ რამდენად აიტანს თბილისის წყალმომარაგება, გაზმომარაგება და ენერგომომარაგება გაზრდილ დატვირთვას.

„ქალაქის ინფრასტრუქტურასა და სატრანსპორტო სისტემაზე ამხელა სიმძიმის დაწოლა, მთელი თბილისის განსახლების სისტემის სრულ მეტამორფოზას გამოიწვევს. ჩვენ გვაქვს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, სადაც ურბანისტული გაგებით ასეთი ინექცია გათვალისწინებული არ არის. სატრანსპორტო საკომუნიკაციო სისტემა, სოციალური მომსახურების სისტემა – არ ვიცი არის თუ არა ეს ყველაფერი გეგმით გათვალისწინებული. თანაც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ შემთხვევაში სარეკრიაციო ზონაა ათვისებული და არ მგონია ჩვენი ქალაქის განვითარებისთვის ეს დადებითი მოვლენა იყოს. ძნელია მარჩიელობა, თუკი თბილისში საცხოვრებელი უბანი იყო ასაშენებელი, რატომ არ გამოცხადდა კონკურსი?! ქართული საზოგადოებისთვის სულერთი არ უნდა იყოს რა მოხდება დედაქალაქში“, – ამბობს ლადო ვარდოსანიძე.

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე დაწყებული პროექტის გარშემო გავრცელებული უამრავი ინფორმაციის მიუხედავად, 2015 წელს,თბილისში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ოლიმპიური სოფლის მშენებლობა კვლავ მიმდინარეობს.

სარეკრიაციო ზონაა ათვისებული და არ მგონია ჩვენი ქალაქის განვითარებისთვის ეს დადებითი მოვლენა იყოს. ძნელია მარჩიელობა, თუკი თბილისში საცხოვრებელი უბანი იყო ასაშენებელი, რატომ არ გამოცხადდა კონკურსი?! ქართული საზოგადოებისთვის სულერთი არ უნდა იყოს რა მოხდება დედაქალაქში“, – ამბობს ლადო ვარდოსანიძე.

ქალაქზე დაჩრენილი საჯეთრება

უძრავი ქონების ელექტრონული რეგისტრაციის სიმარტივე, რომლითაც საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში ლიდერობს, რიგით მოქალაქეებს ზოგჯერ საკუთრების დაკარგვის საფასურად უჯდებათ.

სალომე ცეცხლაძე, სტუდია „მონიტორი“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოში“ ამბობენ, რომ ამ ისტორიების გმირები ჩაკეტილ წრეზე მოძრაობენ. მერია საჯარო რეესტრთან აგზავნის, საჯარო რეესტრი კი – მერიასთან. თუმცა მოქალაქეები ვერ იღებენ დასაბუთებულ პასუხს, თუ რატომ დარეგისტრირდა მათი საკუთრება თავისუფალ მიწად, შემდეგ კი გაიყიდა სხვა მოქალაქეებზე.

2011 და 2012 წლების მონაცემებით მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების (Doing business) რეიტინგში საქართველო ქონების რეგისტრაციის სიმარტივის მხრივ პირველ ადგილს იკავებს. ჩვენ ქვეყანაში ქონების რეგისტრაცია სულ რამდენიმე წუთშია შესაძლებელი. ამავე რეიტინგის მონაცემებით, საქართველო დაწინაურდა და ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ პირველ ათეულში მოხვდა. რეიტინგის შედგენისას ბანკმა ერთ-ერთ კომპონენტად ქონების რეგისტრაციის სიმარტივეც გაითვალისწინა.

ნანა ხაჩიძის ისტორია

ნანა ხაჩიძის მეუღლემ დავით სიხუაშვილმა 2006 წელს თბილისის ზღვასთან ახლოს ე.წ. ხეხილსანერგე მეურნეობაში ნაკვეთი შეიძინა. ხაჩიძეს კანონის დაცვით დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთი თბილისის მერიამ ისე გაუყიდა, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. როგორც ხაჩიძე ამბობს, ნაკვეთის გაყიდვის ამბავი შემთხვევით მას შემდეგ გაიგო, რაც 2011 მერიაში მივიდა. მას თბილისის მერიის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში სახლის პროექტის მიღება და კუთვნილ მიწაზე სახლის აშენება უნდოდა.

„მერიიდან საჯარო რეესტში გაგვიშვეს, ნაკვეთის რეგისტრაციის განახლებული ელექტრონული ვერსია მოიტანეო. საჯარო რეესტრში გვითხრეს, რომ ჩვენი ნაკვეთი არის მერიის მიერ საკუთარ თავზე დარეგისტრირებული და მერე აუქციონის წესით გაყიდული“, – იხსენებს ნანა ხაჩიძე.

რეესტრში ოჯახს განუცხადეს, რომ მათი ნაკვეთის დარეგისტრირება „სხვამ დაასწრო“. „რეესტრში ვთხოვე განემარტა, რას ნიშნავს ეს დასწრება. მიბრძანდით სასამართლოში და გაგცემენ პასუხსო“, – ამბობს ხაჩიძე. საბოლოოდ ოჯახმა გაარკვია, რომ ის, ვინც მათ ნაკვეთის დარეგისტრირება „დაასწრო“, თბილისის მერია იყო.

რეესტრში ოჯახს განუმარტეს, რომ უძრავი ქონების ახალ ელექტრონულ ბაზაში არ ჩანდა, მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე რომ დავით სიხუაშვილი იყო. შესაბამისად, ეს ნაკვეთი, როგორც თავისუფალი მიწა, საჯარო რეესტრმა მერიას დაურეგისტრირა, მერიამ კი აუქციონის წესით გაყიდა.

ელექტრონულ ბაზებში მიწების რეგისტრაცია პრაქტიკაში 2007 წლის შემდეგ დაიწყო. ხაჩიძის ოჯახმა კი მიწა 2006 წელს, ძველი წესით დაირეგისტრირა. იურისტები განმარტავენ, რომ იურიდიულად 2007 წლამდე დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს ისეთივე კანონიერი ძალა აქვს, როგორც შემდეგ წლებში დარეგისტრირებულებს. ნანა ხაჩიძემ ადვოკატ როინ მიგრიაულთან ერთად დავა სასამართლოში თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს წინააღმდეგ დაიწყო.

“იმისთვის, რომ მერიას აუქციონზე გაეყიდა ეს მიწის ნაკვეთი, მას მთელი რიგი კვლევები უნდა ჩაეტარებინა. ადგილზე უნდა დაეთვალიერებინა მომიჯნავე მიწის ნაკვეთები, მეზობლები უნდა დაეკითხა. უნდა გაერკვია, უკვე იყო თუ არა ეს მიწის ნაკვეთი სხვისი საკუთრება. საკუთრების დოკუმენტებს თუ ჩაეძიებოდა, მივიდოდა საჯარო რეესტრის იმ ამონაწერამდე, რომელიც ნანა ხაჩიძეს აქვს“, – ამბობს როინ მიგრიაული.

თუმცა, მერიამ საქალაქო სასამართლოზე წარდგენილ შესაგებელში პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა და აღნიშნა, რომ მან კანონის შესაბამისად, მიწის დარეგისტრირების შესახებ საჯარო რეესტრს მიმართა და რეესტრმაც უპრობლემოდ დაურეგისტრირა მიწა.

“არ დასტურდება სადაო და თვითმმართველის მიერ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის იდენტობა“, – წერია მერიის შესაგებელში, ანუ მერიამ არ უარყო, რომ ნანა ხაჩიძის ოჯახი მიწას ფლობს, მაგრამ მისივე განმარტებით, არ დადგინდა რომ ნაკვეთი, რომელიც ხაჩიძის მეუღლეზეა რეგისტრირებული, იგივე ნაკვეთია, რომელიც მერიამ გაყიდა. მერიამ მიწების იდენტობა ვერ დაადგინა, თუმცა არც ის მიუთითებია, სინამდვილეში სად შეიძლება ყოფილიყო მომჩივანის მიწის ნაკვეთი.

„აღმოჩნდა, რომ ჩემს მარწმუნებელს აქვს საჯარო რეესტრის საკუთრების უფლება, მაგრამ არ აქვს საკუთრების ობიექტი – მიწის ნაკვეთი“, – ამბობს ადვოკატი მიგრიაული.

ნანა ხაჩიძის ოჯახმა სასამართლოში საკუთრების იდენტიფიცირების გასაადვილებლად ნაკვეთების დაყოფის ძველი ნახაზიც წარმოადგინა, სადაც ჩანს რომელია მისი ნაკვეთი და ვინ საიდან ესაზღვრებოდა. მოსარჩელემ მეტი დამაჯერებლობისთვის სასამართლოს საჯარო რეესტრის ამონაწერებიც წარუდგინა, რომლის მიხედვითაც, მეზობლებმა მიწა განახლებული სახით სწორედ ამ ნახაზის მიხედვით დაირეგისტრირეს, თან იმავე საბუთებით და საფუძვლით, რომლითაც თვითონ ცდილობდა დარეგისტრირებას.

„ანალოგიური საბუთებით, ჩვენს მწკრივში 8 ნაკვეთი მეზობლებმა უპრობლემოდ დაირეგისტრირეს“, – ამბობს ნანა ხაჩიძე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება მერიის სასარგებლოდ გამოიტანა. საქალაქო სასამართლოში მოსამართლე მირანდა ერემაძემ (ზუსტად ისევე, როგორც თბილისის მერიამ) არ გახადა სადავოდ ის ფაქტი, რომ მიწა 2006 წელს ნანა ხაჩიძის მეუღლის სახელზე აღირიცხა. ანუ, ოჯახის საკუთრების უფლებას არავინ უარყოფს, თუმცა ამ გაუგებრობის მიზეზად ის სახელდება, რომ ოჯახმა კერძო საკუთრება ელექტრონულად ახალი წესით, ე.წ. „UTM“ სისტემით არ დაირეგისტრირა. სასამართლოს ერთ-ერთი მთავარი არგუმენტიც ასეთია: „საქმის მასალებით დასტურდება, რომ საკუთრების უფლების რეგისტრაცია „UTM“ პროექციით შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მომხდარა“. 2006 წელს უტეემ პროექციით ნაკვეთის რეგისტრაცია ვერც მოხდებოდა, რადგან ქონების ელექტრონულად რეგისტრაცია 1 წლის შემდეგ დაიწყო. „2006 წელს რეგისტრირებული მონაცემებით, მოსამრთლემაც მშვენივრად იცის, რომ შეუძლებელია იდენტურობის დადგენა „UTM“ პროექციის ფარგლებში“, – ამბობს ეკა ბოკუჩავა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ იურისტი, რომელმაც ჩვენ მიერ განხილული საქმეები შეისწავლა.

დავა სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდა. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „საქალაქო სასამართლომ არ გამოიკვლია დავის გადასაწყვატად არსებული გარემოებები“ და საქმე ისევ საქალაქო სასამართლოს დაუბრუნა განსახილველად.

რა ნიშნავს უძრავი ქონების „UTM“ პროექციით რეგისტრაცია

რას ნიშნავს „UTM“ პროექციით ანუ ელექტრონულად მიწების რეგისტრაცია? და რატომ ვერ დაირეგისტრირებდნენ მიწას 2006 წელს ელექტრონულად? უძრავი ქონების „UTM“ პროექციით, ელექტრონულად რეგისტრაციის შესახებ ბრძანება ჯერ კიდევ პრეზიდენტმა შევარდნაძემ გამოსცა 1999 წელს. თუმცა, რადგან ეს ბაზების ფორმირებას, დიდ დროსა და ფინანსებს მოითხოვდა, ამის პარალელურად ქონების ძველი სახით, ანუ ხელით შესრულებული ნახაზით რეგისტრაციაც დასაშვებად იქნა ცნობილი.

პრაქტიკაში ქონების „UTM“ სისტემით რეგისტრაცია მხოლოდ 2007 წლის შემდეგ დაიწყო. ახალი სახით ელექტრონული რეგისტრაცია სატელიტიდან მიღებულ მონაცემებს ეყრდნობა და ზუსტად განსაზღვრავს ნაკვეთის ფართობსა და მდებარეობას.

„უძრავი ქონების ელექტრონული საკადასტრო აზომვითი ნახაზით რეგისტრაცია საშუალებას გვაძლევს წერტილოვანი სიზუსტით ვნახოთ ჩვენი ქონების ადგილმდებარეობა, რომ არ მოხდეს მეზობელ ნაკვეთებს შორის გადაფარვა. გარდა ამისა, სახელმწიფოს აქვს საშუალება დაინახოს რამდენი მიწის ნაკვეთია რეგისტრირებული, რამდენია კერძო და რამდენი – მისი, და აქედან გამოიყვანოს სტატისტიკა“, – ამბობს ეკა ბოკუჩავა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ იურისტი.

თუმცა აღმოჩნდა, რომ საჯარო რეესტრი ახალ ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემებს ძველ, ხელით შესრულებულ ნახაზებს ვერ ადარებდა, ანუ ძველი წესით დარეგისტრირებული ნაკვეთები, ახალ ელექტრონულ სისტემაში ჩანდა, როგორც თავისუფალი, მესაკუთრის არმქონე. სწორედ ამიტომ ძველი წესით დარეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრეები ქონების დაკარგვის რეალური პერსპექტივის წინაშე დადგნენ. ამ გარემოებას საჯარო რეესტრშიც ადასტურებენ.

“ეს არის არქივის დონეზე არსებული დოკუმენტაცია და დღეს, როდესაც ელექტრონული საქმისწარმოება მიმდინარეობს, ამის გადამოწმება რთულია,“ – ამბობს საჯარო რეესტრის იურიდიული სამსახურის უფროსი თამარ შოთაძე.

იურისტები ამბობენ, კანონი მერიასთან ერთად საჯარო რეესტრსაც ავალდებულებს

გადაამოწმოს, რომ ქონება, რომელსაც არეგისტრირებს, სხვაზე ხომ არ არის უკვე რეგისტრირებული. თუმცა ფაქტია, რომ დღეს ხაჩიძის ოჯახის კუთვნილი 1000 კვადრატული მეტრი მიწა ახლა ორ მფლობელს შორისაა გადანაწილებული. მერიამ ერთ მოქალაქეს დაახლოებით 14 ათას ლარად 454 კვარატული მეტრი მიწა მიჰყიდა, მეორე მოქალაქემ კი 933 კვადრატული მეტრი – 28 ათას ლარად შეიძინა. ამ ნაკვეთშიც ერთი ნაწილი ნანა ხაჩიძის ოჯახის საკუთრება იყო. მეორე ნაწილი კი მეზობელი – ვაჟა მექანარიშვილის ნაკვეთში გადავიდა. მექანარიშვილის ისტორიაც ისეთივეა, როგორც ნანა ხაჩიძის.

ვაჟა მენარიშვილის ისტორია

ვაჟა მექანარიშვილის თქმით, მისი კუთვნილი 1000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთიდან მხოლოდ ორი ვიწრო ზოლი არ გაყიდულა. ახლა მან მიწის ეს ზოლები რომც დაირეგისტრიროს, ვეღარაფერში გამოიყენებს. არადა, მან ეს ნაკვეთი 2006 წელს ოფიციალურად იყიდა და კანონის შესაბამისად საჯარო რეესტრშიც დაირეგისტრირა.

„ჩავსვი ბოძები, მოვიტანე ბეტონის ფილები, რომ შემომელობა. მერე მომიწია ისეთი პერიოდი, რომ უმუშევრობა დამემთხვა. ხელფასებს ვერ არიგებდნენ, არ მქონდა ამის საშუალება და გავჩერდი“, – იხსენებს ვაჟა მექანარიშვილი.

2011 წელს საჯარო რეესტრში მისულ მექანარიშვილს უთხრეს, რომ მისი ნაკვეთის ნაწილი უკვე მერიას ჰქონდა გაყიდული. სქემა აქაც იგივეა – მერიამ მიმართა საჯარო რეესტრს მიწის ნაკვეთის მასზე რეგისტრაციის მოთხოვნით. ვინაიდან მექანარიშვილის ნაკვეთი 2006 წელს იყო დარეგისტრირებული და ახალ ელექტრონულ ბაზაში თავისუფალ ნაკვეთად ჩანდა, რეესტრმა იგი თბილისის მერიაზე გადააფორმა, საბოლოოდ თბილისის თვითმმართველობამ ეს მიწაც აუქციონის წესით გაყიდა.

“რეესტრი მპასუხობს, რომ აუქციონზე გავიდა: მერიამ საბუთები მოგვიტანა, საბუთები წესრიგში იყო და დავურეგისტრირეთ ჩვენო. მერე მივაკითხე მერიას, რომ რატომ გაყიდეთ,მეთქი. ის კიდევ მეუბნება, რომ ჩვენ გამოვითხოვეთ რეესტრიდან თავისუფალი ნაკვეთები, რომელიც არ იყო ელექტრულად დაზუსტებული, საჯარო რეესტრმა მოგვაწოდა, დავირეგისტრირეთ და გავიტანეთ აუქციონზეო“, – ამბობს ვაჟა მექანარიშვილი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოში“ ამბობენ, რომ ამ ისტორიების გმირები ჩაკეტილ წრეზე მოძრაობენ. მერია საჯარო რეესტრთან აგზავნის, საჯარო რეესტრი კი – მერიასთან. თუმცა, მოქალაქეები ვერ იღებენ დასაბუთებულ პასუხს, თუ რატომ დარეგისტრირდა მათი საკუთრება თავისუფალ მიწად, შემდეგ კი გაიყიდა სხვა მოქალაქეებზე.

ვაჟა მექანარიშვილმა გადაწყვიტა დავა სასამართლოში გაეგრძელებინა. მერიასთან ერთად მან საჯარო რეესტრსაც უჩივლა. „საჯარო რეესტრი ვალდებულია გამოიკვლიოს ის უძრავი ნივთი, რომელზედაც აქვს პრეტენზია, სურვილი ადგილობრივ თვითმმართველობას, არის თუ არა უკვე აღრიცხული სხვის საკუთრებაში. თუკი ასეთი აღმოჩნდება, საჯარო რეესტრი ვალდებულია, აღარ განახორციელოს უკვე რეგისტრირებულ მიწაზე ახალი საკუთრების უფლება“, – ამბობს ვაჟა მექანარიშვილის ადვოკატი, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი ილია ჭანტურაია.

ეს საქმე საქალაქო სასამართლოში მოსამართლე ნინო ყანჩაველმა განიხილა. საბოლოოდ მოსამართლემ გადაწყვეტილება ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ გამოიტანა და დაასკვნა, რომ „ვაჟა მექანარიშვილის დაუზუსტებელი რეგისტრაციის არსებობის პირობებში ვერ დადგინდებოდა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობა და ფართობი... შესაბამისად, სადაო ქონება კანონის დაცვით „აღირიცხა თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში და გასხვისდა მესამე პირზე“. სააპელაციო საამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

„აბსურდული სიტუაცია იქმნება – კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს, რომ თუ გაქვს საჯარო რეესტრში აღრიცხული რაღაც უფლება, ითვლება, რომ ეს არის უტყუარი და მის მიმართ მოქმედებს უტყუარობის ფიქცია. გამოდის, რომ ქაღადზე მაქვს, მაგრამ რეალურად არ მაქვს საკუთრება“, – ამბობს ილია ჭანტურაია.

იურისტების თქმით, კანონი პირებს არ ავალდებულებს, რომ უკვე რეგისტრირებული ქონება ახალი წესის შესაბამისად დაირეგისტრირონ, განაახლონ რეგისტრაცია. მექანარიშვილის საქმეზე უზენაესმა სასამართლომაც იმსჯელა. ამ ინსტანციაში მიიჩნიეს, რომ

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქმეში არსებული მნიშვნელოვანი გარემოებები არ გაითვალისწინა და საკითხი განსახილველად ისევ სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა.

ჟორა ბობოხიძის ისტორია

კიდევ ერთი ასეთივე სქემით დაზარალებული კერძო მესაკუთრე ჟორა ბობოხიძეა, რომელსაც ნაკვეთი ზემოთ განხილული პირების ნაკვეთებიდან რამდენიმე მეტრში აქვს. მისი მიწა შემოღობილია. სახლის ასაშენებლად მასალის ამოტანაც დაწყებული ჰქონდა. აქ ვაშლი, მსხალი, ატამი და სხვადასხვა ხეხილი აქვს დარგული. ბობოხიძეს ვაზის ხეივანის გაკეთება უნდოდა. თავის შვილიშვილთან ერთად ხშირად ამოდიოდა და ნარგავებს უვლიდა.

„2011 წელს ნერგები უნდა შემომემატებინა, გავსხალი რაღაცა, მოვიდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და მეუბნება ეს ნაკვეთი ჩვენია, ჩვენ შევისყიდეთო. მე ვიფიქრე, ამდენ ხანს ჩემია და ახლა ვინ წამართმევს-მეთქი“, – ამბობს ჟორა ბობოხიძე.

2011 წლის 8 აპრილს, მერიის სამსახურში მისულმა აღმოაჩინა, რომ 28 მარტის აუქციონით მერიას მიწა უკვე სხვა პირზე 53 ათას ლარად გაეყიდა. თუმცა აუქციონის გამარჯვების დამადასტურებელ ოქმში წერია, რომ აუქციონში გამარჯვებულმა თანხა დაახლოებით 9 თვეში, დეკემბრამდე უნდა გადაიხადოს. ჟორა ბობოხიძემ კი, მერიას აუქციონის გამართვიდან დაუყოვნებლივ, ანუ 10 დღეში მიმართა, რომ ნაკვეთი თავისი იყო და აუქციონის შედეგები გაეუქმებინათ.

ბობოხიძის ადვოკატის აზრით, ეს საქმე გამორჩეული იმითაა, რომ მერიამ აუქციონის დასრულებისთანავე შეიტყო მიწის ნაკვეთის კანონიერი მფლობელის შესახებ.

„შესაძლოა, რომ მერიამ საჯარო რეესტრიდან მიიღო დოკუმენტი, რომ ეს თავისუფალი მიწაა და შეგიძლია შენს თავზე დაირეგისტრიროო, მაგრამ როცა ადამიანი აუქციონის დასრულებამდე გწერს, რომ ეს მისი ნაკვეთია, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს, გაარკვიოს საქმის ვითარება, ყველა გარემოება და ამის შემდეგ გააგრძელოს საქმისწარმოება, რაც მერიას არ გაუკეთებია“, – ამბობს ბობოხიძის ადვოკატი ირაკლი ნოზაძე.

ბობოხიძეს არ ესმის, როგორ, რა პრინციპით ვერ ადგენს მერია მიწების იდენტობას, როგორ ვერ პოულობს საჯარო რეესტრი თავისივე დარეგისტრირებული ნაკვეთის ადგილმდებარეობას და როგორ მოხდა, რომ მისი მიწა სხვას დაურეგისტრირეს.

„აბსურდული სიტუაცია იქმნება – კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს, რომ თუ გაქვს საჯარო რეესტრში აღრიცხული რაღაც უფლება, ითვლება, რომ ეს არის უტყუარი და მის მიმართ მოქმედებს უტყუარობის ფიქცია. გამოდის, რომ ქაღალდზე მაქვს, მაგრამ რეალურად არ მაქვს საკუთრება“, – ამბობს ილია ჭანტურაია.

„აუცილებელია, არამარტო კომპიუტერში გადამოწმების შედეგად გაიცეს განახლებული რეგისტრაცია, არამედ არქივთან შედარების შედეგადაც. მითუმეტეს, როდესაც ცნობილია თვითონ რეესტრისთვის, რომ თბილისში არსებულ ყველა მიწის ნაკვეთზე არაა ეს აზომვა განხორციელებული“, – ამბობს ჟორა ბობოხიძე. მისი სარჩელი საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საქმე კვლავ მერიას დაუბრუნა სამსჯელოდ.

საჯარო რეესტრის იურიდიული სამსახურის ახალი უფროსი თამარ შოთაძე ამბობს, რომ ისინი მუშაობენ მექანიზმებზე, რომლებიც მსგავს შემთხვევებს შეამცირებს. საკუთრების უფლების დაცვა კი მათთვის პრიორიტეტული თემაა.

„იუსტიციის მინისტრის პირად კონტროლზეა სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან კერძო საკუთრების დარღვევის ფაქტები აყვანილი. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, რომ მესაკუთრის დადგენა ჯერ სამსახურის შიგნითვე უზრუნველვყოთ, რომ როგორმე აღვადგინოთ მოქალაქის უფლება“, – ამბობს თამარ შოთაძე.

თბილისის მერიამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარზე უარი იმ მიზეზით გვითხრა, რომ საქმეები სასამართლო განხილვაშია. რაც შეეხება კეთილსინდისიერ მყიდველებს, პრობლემის მოგვარებას ისიც ართულებს, რომ სადავო ნაკვეთები უკვე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მესამე, კერძო პირებზეა გადაყიდული, საქართველოს კანონმდებლობა კეთილსინდისიერი მფლობელის უფლელებს მკაცრად იცავს.

თამაშისთვის მოჯადოები ეროვნი წელი

2010 წლიდან მინიმალურ სასკოლო ასაკად 5 წელი განისაზღვრა. საქართველოში ხუთწლიანების სწავლების პრობლემებზე ჩატარებული კვლევებით ხუთწლიანებისთვის სასკოლო დატვირთვა უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე მათი თანაკლასელებისთვის, რომელთაც ექვსი წელი შეუსრულდათ.

ლიკა ზაკაშვილი



ხუთი წლის ასაკის მოსწავლეების სწავლის პრობლემები „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დაკვეთით იკვლია. კვლევამ აჩვენა, რომ მშობლები ხუთი წლის ბავშვების სასკოლო მზაობის ფაქტორად ლექსების ცოდნას და ფიზიკურ პარამეტრებს განიხილავენ. („ჩვენს ირგვლივ ყველამ წაიყვანა ხუთწლიანი და ...“ „რადგან არსებობდა ასეთი პრეცედენტი, ვიფიქრე ვცდი-მეთქი“). მშობლები ხაზს უსვამდნენ აგრეთვე იმასაც, რომ დრო გამოუთავისუფლდებოდათ („ძალიან ცელქი იყო და ჩავთვალე, რომ სკოლაში დახარჯავდა ენერგიას“)

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვის სასკოლო მზაობა მთელ რიგ ფიზიკურ, შემეცნებით და სოციალურ ფაქტორებს მოიცავს და მხოლოდ ლექსების, ასოების და ციფრების ცოდნით არ განსაზღვრება.

სპეციალისტებით თქმით, ფიზიკური მზაობის კუთხით მოსწავლეს უნდა შეეძლოს სხეულის კოორდინაცია; ღილების, ზონრების შეკვრა; სწორი ხაზების გავლება; კარგად განვითარებული ნატიფი მოტორიკა გამოიხატება მაკრატლის, ფანქრის, ფუნჯის სწორად გამოყენების უნარში და თუ ამ ყველაფერს ბავშვი სკოლამდელ ასაკში აკეთებს, მას წერის სწავლა ნაკლებად გაუჭირდება.

შემეცნებითი მზაობა აღქმის დანაწევრებას გულისხმობს. აქ მოიაზრება მთელიდან დეტალების გამოყოფა, დეტალების ერთ მთლიან ხატად გაერთიანება, სივრცითი მიმართებების აღქმა – მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ; თუ ბავშვს უჭირს ნახატში გარკვეული დეტალების აღქმა, მისთვის ასოების სწავლაც რთული იქნება.

სოციალური მზაობა გულისხმობს ბავშვის თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილებასა და უნარს დაუქვემდებაროს საკუთარი ქცევა ბავშვების ჯგუფის/თამაშის წესებს, მართოს იმპულსური რეაქციები და შეეძლოს უინტერესო საქმის ხანგრძლივად კეთება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლის ნინო ლაბარტყავას თქმით, ექვსწლიანებს ხუთი წლის ბავშვებისგან განსხვავებით, ნატიფი მოტორული უნარები მეტად აქვთ განვითარებული.

„ექიმების აზრი, ხუთი წლის ბავშვის ხერხემალი საკმარისად გაძვლოვანებული არ არის, რომ ჯდომასთან დაკავშირებული დატვირთვა აიტანოს. ხუთი წლის ბავშვს ექვსწლიანებისგან განსხვავებით უფრო მეტად მთელიდან მცირე დეტალების გამოყოფა; მხოლოდ 10-15 წუთი შეუძლია კონცეტრირება და ამის გარდა ნებისყოფა ექვსი წლის ბავშვს უფრო მეტი აქვს, ვიდრე ხუთი წლისას.“ – ამბობს ნინო ლაბარტყვა.

„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევის ფოკუს ჯგუფების შემადგენლობაში შედიოდნენ ექსპერტები, ხუთწლიანი მოსწავლეების მშობლე-

თუ სავალდებულო სწავლების დაწყების ასაკად ხუთი წელი დარჩება, სასურველია შეიქმნას მოსამზადებელი კლასი, სადაც ხუთი წლის ბავშვები ცალკე ისწავლიან, მათი სწავლება ორიენტირებული იქნება მათი სკოლისთვის მომზადებასა და არა წერა-კითხვის სწავლებაზე.

კვლევის ავტორები თვლიან, რომ თუ ხუთწლიანი ბავშვების სკოლაში მიღებასთან დაკავშირებული პრაქტიკა დარჩება, აუცილებელია სკოლის ან სკოლამდელი აღზრდის ეტაპზე ბავშვების სკოლისათვის მზაობის შემოწმების სისტემის შექმნა.

ბი და განათლების დაწყებითი საფეხურის პედაგოგები.

კვლევამ აჩვენა, რომ ხუთი წლის ბავშვს უჭირს 35 წუთის განმავლობაში ერთ ადგილას ჯდომა, მალე იღლება, ამბობს, რომ ეძინება (არის შემთხვევები, რომ მერხზე ეძინება), შია და თამაშს იწყებს. ასევე ვლინდება ჰიპერაქტიურობა, ყურადღების კონცენტრაცია 15 წუთს არ აღემატება, უჭირს დამარცვლით კითხვა, კალმის სწორად დაჭერა და ასოების გამოყვანა;

ზოგადად, ხუთი წლის ბავშვს უჭირს სკოლის მიღება, რის გამოც საკმაოდ ბევრმა მშობელმა ბავშვი სკოლიდან გაიყვანა. ნეიროფსიქოლოგი თამარ გაგოშიძე ამბობს, რომ ბავშვებში ფსიქიკურმა პრობლემებმა იმატა, რაც ვლინდება უნებლიე შარდვით, ტიკებით, ენის ბორძიკით, შიშებით, სკოლაში გულის რევით, მუცლის ტკივილით. არიან ბავშვები, რომლებიც ამბობენ, რომ არ უნდათ სკოლაში წასვლა.

„კლასში მარტო ერთი ხუთი წლის ბავშვი მყავდა, რომელიც თავს ძალიან დაჩაგრულად გრძნობდა. ამბობდა, ხუთი წლის ვარ, არ ვივლი მოსამზადებელ ჯგუფშიო; ხშირად ტიროდა, ემჩნეოდა ფიზიკური გადაღლა, მერხზე წვებოდა. ამ ასაკის ბავშვი თამაშისკენ არის მიდრეკილი. კანონის ეს ნორმა ქართულ სინამდვილესთან შეუსაბამოა. ამ კანონის გამო საჯარო სკოლაში ძალიან ბევრმა ბავშვმა მოიყარა თავი. გადაიტვირთა კლასები და ინდივიდუალურად ბავშვებთან ვეღარ ვმუშაობთ," – ამბობს ერთ-ერთი კერძო სკოლის პედაგოგი მაგდა აბესაძე, თუმცა აღნიშნავს, რომ ხუთწლიანების სწავლება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზეც, თუ როგორი საკლასო გარემო ხვდება ბავშვს სკოლაში.

„დასავლეთში სკოლამდელი და სასკოლო გარემო ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული არ არის. ჩვენთან ბაღების სისტემა ძალიან დასახვეწია. ხუთი წლის ბავშვს თამაშით უნდა ასწავლო. დიდ კლასებში კი დიფერენცირებული მიდგომის დანერგვა ძალიან რთულია," – ამბობს მაგდა აბესაძე.

კვლევის ავტორების აზრით, იმისთვის, რომ მასწავლებელმა ბავშვებთან ინდივიდუალური მიდგომა გამოიყენოს, ან უნდა შემცირდეს კლასების ზომა, ან ხუთი და ექვსი წლის ბავშვები უნდა გამოაცალკევონ. ასევე აუცილებლია ხუთწლიანი ბავშვებისთვის საკლასო ოთახების შესაბამისად მოწყობა.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასკოლო სწავლება შვიდი წლის ასაკიდან იწყება, თუმცა ექვსი წლიდან ბავშვი ერთვება სავალდებულო სწავლების ციკლში, რაც მოსამზადებელი პერიოდია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სკოლისთვის მოსამზადებელი კლასები ბაღის ან სკოლის ბაზაზეა.

ნინო ლაბარტყავას თქმით, თუ სავალდებულო სწავლების დაწყების ასაკად ხუთი წელი დარჩება, სასურველია შეიქმნას მოსამზადებელი კლასი, სადაც ხუთი წლის ბავშვები ცალკე ისწავლიან, მათი სწავლება ორიენტირებული იქნება მათი სკოლისთვის მომზადებასა და არა წერა-კითხვის სწავლებაზე.

„ასევე, მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება ხუთწლიანი ბავშვების თავისებურებების და მათი სკოლისათვის მზაობის შესახებ. სასკოლო მზაობა ყოველთვის არ არის დამოკიდებული ასაკზე, შეიძლება რომ ბავშვი ექვსი წლის ასაკშიც არ იყოს მზად სკოლისთვის და ამიტომ სასურველია მშობელმა იზრუნოს მნიშვნელოვანი უნარების განსავითარებლად, – ამბობს ნინო ლაბარტყავა.

"განვითარების ცენტრის" მიერ ჩატარებული კვლევა ხუთწლიანების სწავლებასთან დაკავშირებული ერთადერთი კვლევა არ არის. სასკოლო მზაობის შეფასება 2009-2010 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის მიერაც განხორციელდა.

შეფასდა ხუთი სფერო: ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, მეტყველება, შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სოციალურ-ემოციური განვითარება, სწავლისადმი მიდგომა.

ნინო ლაბარტყავას თქმით, რომელიც კვლევის ერთ-ერთი თანაავტორია, ასაკობრივი სხვაობის თვალსაზრისით კვლევაში ხუთ და ექვსწლიან მოსწავლეებთან სანდო განსხვავება დაფიქსირა. ექვსწლიან მოსწავლეებს უფრო განვითარებული აქვთ ნატიფი მოტრიკა, უკეთ შეუძლიათ თვალსაჩინო მასალაზე დაყრდნობით არითმეტიკული ოპერაციების შესრულება, პატარა ტექსტის დამახსოვრება, სიტყვის ბგერებად დაშლა, ბგერების მიხედვით სიტყვების შედგენა და ა.შ.

„ამიტომ მოსალოდნელიც იყო, რომ ხუთწლიანებისთვის სასკოლო დატვირთვა უფრო მძიმე აღმოჩნდებოდა, ვიდრე მათი თანაკლასელი ექვსწლიანებისთვის," – ამბობს ნინო ლაბარტყავა.

კვლევის მიხედვით, ბაღში მოსიარულე და არამოსიარულე მოსწავლეთა შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა.

მაგალითად, კვლევამ აჩვენა, რომ ბაღში მოსიარულე ბავშვებს უკეთ შეუძლიათ საკუთარ თავზე ინფორმაციის მოწოდება – იციან საკუთარი ასაკი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი, შეუძლიათ წელიწადის დროების, კვირის დღეების ჩამოთვლა, ცხოველების, ხილის დასახელება, თვლა, ათის ფარგლებში თვალსაჩინო მასალაზე დაყრდნობით არითმეტიკული ოპრაციების განხორციელება.

„სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობა სკოლამდელი დაწესებულებების დონეზე," – ამბობს ნინო ლაბარტყავა და აღნიშნავს, რომ უპირველესად სკოლამდელი დაწესებულების ხელმისაწვდომობის პრობლემება და სხვა სისტემური პრობლემები უნდა მოგვარდეს.

ნინო ლაბარტყავას თქმით, პრობლემაა ისიც, რომ ქვეყანაში საკმაოდ დიდია იმ სოფლების რაოდენობა, სადაც არ არსებობს ბაღები. სადაც არსებობს – ძალიან დიდი ჯგუფებია, სკოლამდელი დაწესებულებები მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაშია, რაც ხელს უშლის ერთიანი საგანმანათლებლო გეგმის განხორციელებას.

კვლევის ავტორები თვლიან, რომ თუ ხუთწლიანი ბავშვების სკოლაში მიღებასთან დაკავშირებული პრაქტიკა დარჩება, აუცილებელია სკოლის ან სკოლამდელი აღზრდის ეტაპზე ბავშვების სკოლისათვის მზაობის შემოწმების სისტემის შექმნა, რაც საჭიროებს პედაგოგების გადამზადებას, ფსიქოლოგის ჩართვას და მშობლების ინფორმირებას ხუთი წლის ბავშვების თავისებურებების შესახებ, რადგან როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მშობლები ხუთი წლის ბავშვების სასკოლო მზაობის ფაქტორად ლექსების ცოდნას და ფიზიკურ პარამეტრებს განიხილავენ.

„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის" მიერ ჩატარებული კვლევის რეკომენდაციით, ხუთწლიანი ბავშვების მიღების პრაქტიკა დროებით უნდა შეჩერდეს და სამომავლო მზადება დაიწყოს.

მინა, ჰომეროსს შენია

წინასაარჩევნოდ მთავრობის განკარგულების საფუძველზე სოფელ აჭარისწყლის მოსახლეობამ ტრადიციული საკუთრება დაირეგისტრირა. თუმცა, როგორც გაირკვა, მათი კუთვნილი მიწის ნაწილი მანამდე იჯარით ინვესტორს ჰქონდა გადაცემული. კომპანიამ აჭარისწყლის მოსახლეებსა და საჯარო რეესტრს სასამართლოში უჩივლა. „აჭარ ენერჯი 2007“-ი ამ ტერიტორიაზე ჰესის აშენებას გეგმავს.

ეკა მაღალდაძე

ხელვაჩაურში, მდინარე ჭოროხის ბოლო 21 კილომეტრიან მონაკვეთზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა იგეგმება. მათი საერთო სიმძლავრე 105 მეგავატამდეა. პროექტი 2016 წლის დეკემბერში უნდა დასრულდეს. საერთო ინვესტიცია 200 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებს.

ჰესისთვის საჭირო ტერიტორიის ნაწილი ადგილობრივების ტრადიციული საკუთრებაა, იქ მათ საძოვრები და სახნავ-სათესი მიწები აქვთ. ნაწილი კი სახელმწიფოს კუთვნილი მიწაა.

საქართველოს მთავრობასა და შპს „აჭარა ენერჯი 2007“-ს შორის მემორანდუმს ხელი 2008 წლის 28 თებერვალს

მდინარე ჭოროხზე ჰესის მშენებლობა 2016 წლისთვის უნდა დასრულდეს

ფოტო ლევან ნერგაულიძე

მიწები, რომლებსაც წლების განმავლობაში ფლობდნენ და იყენებდნენ, სახელმწიფომ იჯარით ინვესტორზე გაასხვისა. ეს მოსახლეობამ მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც საკუთრების დასარეგისტრირებლად საჯარო რეესტრს მიმართა.

მოეწერა. მის თანახმად, აჭარაში კომპანიას 7 ჰესი უნდა აეშენებინა (კინტრიშის ჰესი, ქობულეთის I-II ჰესი, კირნათის ჰესი, ხელვაჩაურის ჰესი, ჭოროხის I-II ჰესები). მოგვიანებით, 2009 წელს კომპანიამ ჰესების ნაწილის აშენებაზე უარი თქვა. 2011 წელს „აჭარა ენერჯისთან“ ახალი მემორანდუმი გაფორმდა. ამჯერად უკვე 3 ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე – კირნათის ჰესი (34.6 მგვტ), ხელვაჩაური ჰესი – 1 (36.4 მგვტ) და ხელვაჩაური ჰესი 2 (34.6 მგვტ).

პროექტისთვის მდინარე ჭოროხთან ერთად აჭარისწყლისა და მაჭახელასჭყლის წყალსაც გამოიყენებენ. სამივე ჰესის ექსპლუატაციისთვის ჭოროხის ჭალების ნაწილი, სოფლების – კირნათის, მარადიდის, ერგეს, აჭარისწყლის, მირვეთის, მახოს მკვიდრთა სასოფლო სამეურნეო მიწები წყლით უნდა დაიფაროს. გარემოზე ზემოქმედების შეფასება საკონსულტაციო ფირმა „გამა კონსალტინგმა“ მოამზადა.

სოფელ აჭარისწყალში პრობლემა 19 ოჯახს შეექმნა. მიწები, რომლებსაც წლების განმავლობაში ფლობდნენ და იყენებდნენ, სახელმწიფომ იჯარით ინვესტორზე გაასხვისა. ეს მოსახლეობამ მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც საკუთრების დასარეგისტრირებლად საჯარო რეესტრს მიმართა. ცამეტმა მესაკუთრემ მიღება-ჩაბარების აქტებისა თუ სხვა არაელექტრონული უფლებადამდგენი დოკუმენტების მოგროვება მოახერხა. თუმცა შვიდ მფლობელს უფლების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები არ გააჩნია. იმისთვის კი, რომ კომპანიამ მათგან ეს მიწები გამოისყიდოს და კომპენსაცია გადაუხადოს, საჯარო რეესტრში მფლობელობის დარეგისტრირება აუცილებელია.

სექტემბერში მთავრობამ სპეციალური განკარგულება გასცა, რომელიც ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის რეგისტრაციას უფლებადამდგენი დოკუმენტების გარეშეც კი უშვებდა.

“ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან დაუკავშირდნენ ამ ადამიანებს და უთხრეს, რომ სახელმწიფო შანსს აძლევდა, ურეგისტრირებდა მათ

ამ ქონებას, იყო მინიშნებებიც, რომ ეს წინასაარჩევნო საჩუქარი იყო," – ამბობს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" იურისტი ეკა ბოკუჩავა.

ადგილობრივებს მთავრობის სპეციალური განკარგულების საფუძველზე სწორედ ის მიწები დაურეგისტრირდა, რომლებიც იქამდე, სახელმწიფომ იჯარით ინვესტორს გადასცა. „აჭარ ენერჯიმ" მოქალაქეებსა და საჯარო რეესტრს სასამართლოში უჩივლა და რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვა. სასამართლო განხილვები ჯერ არ დაწყებულა.

კომპანია ცხრამეტივე ოჯახს უჩივის: მათაც, ვისაც შეუძლია, რომ პროცესზე უფლებადამდგენი დოკუმენტები წარადგინოს და მათაც, ვისაც ასეთი დოკუმენტები არ აქვს.

თუმცა „გამჭვირვალობის" იურისტი ჟანა ჩიქოვანი ამბობს, რომ თუ სასამართლო მთავრობის განკარგულების საფუძველზე გაფორმებულ რეგისტრაციას გააუქმებს, ის მოქალაქეები, რომლებსაც უფლებადამდგენი დოკუმენტები აქვთ, მიწის თავიდან დარეგისტრირებას მაინც შეძლებენ. პრობლემა იმ შვიდ ოჯახს შეექმნება, რომლებსაც ასეთი დოკუმენტები არ აქვთ მიუხედავად იმისა, რომ ამ მიწებს წლების განმავლობაში ფლობდნენ. მოსახლეები შიშობენ, რომ მათ მიწებს კომპენსაციის გარეშე ჩამოართმევენ.

ჟანა ჩიქოვანის თქმით, მთავრობის განკარგულება, რომლის საფუძველზეც მოქალაქეებმა მიწა დაირეგისტრირეს, ძალაშია, ჩვეულებრივ მოქმედებს და ასეთი რეგისტრაცია სავსებით კანონიერია, თუმცა საწინააღმდეგოს ამტკიცებს კომპანია, რომელიც მიიჩნევს, რომ მიწების რეგისტრაცია უფლებადამდგენი დოკუმენტების გარეშე უკანონოდ მოხდა და არასრულყოფილია.

„კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ ხელი ეშლებათ მიწების გამოსყიდვაში. თუმცა, რეალურად, ამის მტკიცებულებები ჯერ არ წარმოუდგენიათ," – ამბობს ჩიქოვანი.

აჭარისწყლის მკვიდრი ჯამბულ ზაქარაძე ერთ-ერთია მათ შორის, ვისაც ინვესტორისგან საჩივარი მიუვიდა. მანაც თავისი 6 000 კვადრატულ მეტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწა მთავრობის დადგენილების საფუძველზე დაირეგისტრირა, „ზოგ ოჯახს ამ მიწების გარდა, სხვა შემოსავალი არ აქვს, რა უნდა იყიდონ შესაფერისი კომპენსაციის გარეშე, როგორ უნდა იცხოვრონ. ამბობენ, სამწლიანი ნარგავები ვისაც აქვს, ცოტას დავუმატებთო, მაგრამ ზუსტად არც ეს ვიცით. "

სოფლის მოსახლეობა იხსნებს, რომ შეხვედრებისას კომპანიის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ კომპენსაციას ყველას გადაუხდიდნენ. საუბარი 17-20 ლარზე იყო. მათ, ვისაც უფლებადამდგენი დოკუმენტები არ აქვს, 17 ლარს მაინც გადაუხდიდნენ. თუმცა ადგილობრივები შეთავაზებულ თანხას არ თანხმდებოდნენ, რადგან ეს მიწა მათთვის ეკონომიკურ შემოსავლის წყარო იყო, ამ ფასად კი ახალი მიწის შეძენასა და მის დამუშავებას ვერ შეძლებდნენ.

ნათია გორგოშაძემ მიწის ნაკვეთი აჭარისწყალში ცოტა ხნის წინ თავიდან დაირეგისტრირა და 20-ლარიან კომპენსაციასაც დათანხმდა. თუმცა, შიშობს, რომ მის სახლში ცხოვრება შეუძლებელი გახდება. „რამდენიმე თვის წინ საკუთარ ეზოში გაუგებარი ნიშნული აღმოვაჩინე, იმის მერე ვკითხულობ, რისთვის არის ეს გაკეთებული, მაგრამ არ მპასუხობენ. რეზერვუარი ალბათ აქამდე მოვა, არ ვიცით შესაძლებელი იქნება თუ არა მასთან ასეთ სიახლოვეში ცხოვრება," – ამბობს გორგოშაძე.

რა პირობებს სთავაზობენ მოსახლეებს, რა კომპენსაციას მიიღებენ ისინი, ვისაც ოფიციალური უფლებადამდგენი დოკუმენტები არ აქვთ, რატომ უჩივლეს სასამართლოში ცხრამეტივე ოჯახს თუ კომპენსაციის გადახდას მაინც ყველასთვის აპირებენ – ამ კითხვებზე „აჭარ ენერჯიში" არ გვიპასუხეს. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა, სოფო ვარშალომიძემ გვითხრა, რომ კომპანიამ გადაწყვიტა ამ პროცესზე კომენტარი საერთოდ არ გააკეთოს.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" კოორდინატორი დათო ჭიპაშვილი იმ შემთხვევებს იხსენებს, როდესაც მიწები მოსახლეობას ძალით დაათმობინეს ან ინვესტორებს სიმბოლურ თანხებად მიჰყიდეს. ის არ გამორიცხავს, რომ ამ შემთხვევაშიც შეიძლება ისევ მოქალაქეები დაზარალდნენ და კომპანიამაც იაფად მიიღოს მიწა, რომელიც რეალურად კონკრეტული ოჯახების საკუთრებაა.

"რამდენი შემთხვევა იყო, როდესაც ინვესტორებს პრაქტიკულად აჩუქეს მიწები და შემდეგ მოსახლეები, რომლებიც რეალურად ათწლეულების მანძილზე ფლობდნენ კონკრეტულ ნაკვეთებს, მათ გარეშე აღმოჩნდნენ. იგივე მოხდა ხუდონჰესის შემთხვევაშიც, როდესაც 1500 ჰექტარი ისე გასხვისდა „ტრანსელექტრიკაზე", რომ მოსახლეებმა არაფერი იცოდნენ," – ამბობს ჭიპაშვილი.

ჭიპაშვილი იმასაც ამბობს, რომ ეს რეგიონი ისედაც მჭიდროდაა დასახლებული და სასო-

„სასოფლო სამეურნეო მიწების დაკარგვამ შეიძლება სოფლების მასობრივი დაცლაც გამოიწვიოს, რადგან ისინი დაკარგავენ ეკონომიკური შემოსავლის მნიშვნელოვან და ხშირ შემთხვევაში ერთადერთ წყაროს".

ფლო-სამეურნეო მიწები ისედაც შეზღუდულია. „სასოფლო სამეურნეო მიწების დაკარგვამ შეიძლება სოფლების მასობრივი დაცლაც გამოიწვიოს, რადგან ისინი დაკარგავენ ეკონომიკური შემოსავლის მნიშვნელოვან და ხშირად ერთადერთ წყაროს“. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი ჭოროხზე ჰესის მშენებლობის ეკოლოგიურ პრობლემებზეც საუბრობს, მისი თქმით, ჭოროხი ერთადერთი მდინარეა, რომელიც შავი ზღვის სანაპირო ზოლის ფორმირებას ახდენს. „ჰესის მშენებლობის შემდეგ კი ნატან მასალას მდინარე ველარ გაიტანს და შავი ზღვის სანაპირო ზოლის ფორმირებაც შეფერხდება. შედეგად კი, სახელმწიფოს შესაძლოა დამატებითი ხარჯების გაწევაც მოუხდეს. მას ხელოვნურად მოუწევს სანაპირო ზოლის ფორმირება,“ – ამბობს ჭიპაშვილი.

„მწვანე ალტერნატივა“ განსახლების გეგმის არარსებობაზეც მიუთითებს:

“კომპანიამ გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ისე შეიტანა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში გარემოს დაცვის სამინისტროში, რომ არათუ განსახლების სამოქმედო გეგმა და განსახლების პრინციპებიც კი არ აქვს მომზადებული, სადაც დეტალურად იქნებოდა აღწერილი არამარტო საკუთრების კომპენსაციის საკითხები, არამედ საარსებო პირობების და სტანდარტების გაუმჯობესებისკენ მიმართული ეკონომიკური განსახლების საკითხებიც,“ – ვკითხულობთ ორგანიზაციის განცხადებაში.

იურისტი ეკა ბოკუჩავა მიიჩნევს, რომ ეს მხოლოდ რამდენიმე ოჯახისა და აჭარის პრობლემა არაა და ტრადიციული საკუთრების რეგისტრაცია ბევრ რეგიონში უჭირთ. მით უფრო მწვავეა ეს პრობლემები, როდესაც მიმდებარე თუ უშუალოდ ამ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურული თუ სხვა პროექტები ხორციელდება.

იურისტი იხსენებს, რომ კანონი ფაქტობრივი მფლობელებისთვის მიწის რეგისტრაციის შესახებ 2008 წელს გამკაცრდა, თუ მანამდე, 2007 წელს პროექტ „რაც შენია შენიას“ ფარგლებში მოქალაქეებს შეეძლოთ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწა მარტივად, მეზობლების დასტურით დაერეგისტრირებინათ, 2008 წელს კანონი გამკაცრდა და საკუთრების დარეგისტრირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ამ ტერიტორიაზე „მიწასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობის“ არსებობა გახდა. რაც საძოვრების, სათიბებისა და წლების განმავლობაში არსებული საკუთრების დაკანონებას პრაქტიკულად გამორიცხავს.

„ის, რომ ქვეყანაში კადასტრი მოუწესრიგებელია და უამრავი მიწა ოფიციალურად საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, ეს ინვესტორისთვისაც პრობლემას ქმნის, ცხადდება აუქციონი მიწაზე, რომელიც რეალურად სხვისი საკუთრებაა, მოქალაქის უფლებებთან ერთად, ზოგჯერ ინვესტორიც ზარალდება. როგორც მოხდა, მაგალითად,“ფერერო როშეს“ შემთხვევაში, ზუგდიდში შეძენილი 365 ჰა-დან ნაწილი ადგილობრივების სასაფლაო ტერიტორია აღმოჩნდა და ინვესტორმა მაშინ საკუთარი ინტერესები დათმო. ეს ნებისმიერ კეთილსინდისიერ ინვესტორს აშინებს და აფრთხობს, და პირიქით, გზას უხსნის ისეთ ინვესტორს, რომელიც საერთაშორისო პრესტიჟზე სულაც არ ფიქრობს და მოგების მისაღებად რეალურად სხვისი საკუთრების უფლების შელახვასაც არ ერიდება,“ – ამბობს ბოკუჩავა.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ,“ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ მერვე მოწვევის პარლამენტისთვის მომზადებულ რეკომენდაციებში ცალკე თავი (“მიწის ტრადიციული (მართლზომიერი) მფლობელობა – უგულვებელყოფილი საკუთრება“) სწორედ მიწის ტრადიციული საკუთრების პრობლემების მოწესრიგებას დაუთმო.

„მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ანაზღაურების/კომპენსაციის გაცემას უძრავი ქონების ტრადიციული ან მართლზომიერი მესაკუთრეებისთვის. რადგან საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს საკუთრება რეესტრში რეგისტრირებული არ აქვს, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქონების ტრადიციულ და მართლზომიერ მფლობელებს საკუთრების უფლება ელახებათ, არ ხდება მათთვის სამართლიანი კომპენსაციის გაცემა და ვერ ხორციელდება ეფექტური მართლმსაჯულება. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, მათ საერთოდ არ აღიარებენ, როგორც მიწის მესაკუთრეებს და როგორც დაინტერესებულ პირებს,“- ვკითხულობთ ორგანიზაციების ანგარიშში.

არასამთავრობოების რეკომენდაციით, ტრადიციულ მფლობელობაში არსებული ქონების რეგისტრაციის წესები აუცილებლად უნდა გამარტივდეს. ახალი პროექტების დაგეგმვის დროს კი ადგილობრივი რეალობა, კულტურა და ტრადიციები, მათ შორის ადგილობრივების შეხედულებებიც უნდა გაითვალისწინონ.

„მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კომპენსაციის გაცემას უძრავი ქონების ტრადიციული მესაკუთრეებისთვის. იმის გამო, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს საკუთრება რეესტრში რეგისტრირებული არ აქვს, მართლზომიერ მესაკუთრეებს ხშირად ელახებათ საკუთრების უფლება.“

ომამდე ხურჩელები ნაბაკევში ამ ხიდით გადადიოდნენ. ახლა ხიდს იქით მიწაყრილია, იქიდან რამდენიმე მეტრში კი რუსი „მშვიდობისმყოფელების“ საგუშაგო

ჩეკოჩსტვეი

აფეთქებული ავტობუსის სოფელი

ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობის მიუხედავად, ხურჩა არავის ახსოვს – ერთადერთი, რაც სოფელში წლების განმავლობაში არ იცვლება, გაჭირვება და ომის შიშია.

ავტორი, ფოტო: მალხაზ ჭკადუა

ენგურისპირას მოწყობილ საგუშაგოზე პირადობის მოწმობა არ მომთხოვეს, გიდი ადგილობრივი მყავს – 64 წლის მურთაზ შონიას კარგად იცნობენ: ხურჩიდან ზუგდიდში თითქმის ყოველდღიურად მოძრაობს, ხან სოფლის პროდუქტი დააქვს ბაზარში გასაყიდად, ხანაც ანაკლიაში გასულ წელს წართმეული მიწის დასაბრუნებლად დადის იურისტებთან. ქართველი სამხედროების მიერ სახელდახელოდ მოწყობილი შლაგბაუმი იწევა და ადმინისტრაციულ საზღვართან ყველაზე ახლოს მდებარე სოფელში შევდივართ.

ხურჩას და ნაბაკევს ხურჩისწყალი ჰყოფს, საომარი მოქმედებების შემდეგ პატარა მდინარეს გეოგრაფიულთან ერთად ადმინისტრაციული საზღვრის ფუნქციაც დაეკისრა. ხურჩას სოფლის სტატუსი არ აქვს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს კი ეკუთვნის, მაგრამ კოკის ტერიტორიულ ორგანოში ცალკე უბნად შედის. ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად, აქაურებს უთავკაცობაც აწუხებთ – 85 კომლიანი დასახლების მკვიდრებს ადმინისტრაციული თუ ყოფითი საჭიროებების მოსაგვარებლად 5-6 კილომეტრის გავლა უწევთ.

„მივდივართ ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთან და ვეუბნებით, რომ გვჭირდება ამბულატორია, წამალს სოფელში ვერ იყიდი. მაგრამ რა შეუძლია რწმუნებულს, არაფერი!“, – მურთაზ შონია იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვში შედის, ვისაც ხურჩის გასაჭირი წლების განმავლობაში ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებამდე მიჰქონდა, თუმცა უშედეგოდ.

წლების წინ სოფელში ზუგდიდის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ თოდუა ჩასულა. მოსახლეობას დაპირებია, გადაუდებელი ოპერაცია ვისაც გჭირდებათ, სიაში ჩაეწერეთ და მოგხედავთო, მაგრამ დაპირება დაპირებადვე დარჩენილა. ბევრისთვის დღემდე ომით მიყენებული ზარალიც არ აუნაზღაურებიათ. მეტიც, როგორც აღმოჩნდა, მოსახლეობისთვის ზარალის დამდგენ კომისიას აუდიტისთვის ჩასატარებლად თანხა წინასწარ გამოურთმევია. შედგა ოქმებიც, დაზუსტდა ზარალის რაოდენობაც, მაგრამ რეაბილიტაციის თანხა და სახელმწიფო ნება, დახმარებოდა მოქალაქეებს, ბიუროკრატიულ ფურცლებსღა შერჩა.

> „ვჭირდებით მხოლოდ იმისთვის, რომ პოლიტიკური თამაშებისთვის გამოგვიყენონ. ხურჩაში 40 კაციც რომ მოეკლათ ან 20 სახლი გადაეწვათ, მთავრობა იტყოდა, აფხაზები ქართველებს გენოციდს უწყობენო, არადა ჩვენ ხომ ვიცით, რომ სროლა ჩვენი მხრიდან იყო. ავტობუსებში კი ძალით ჩასვეს ხალხი“, – იხსენებს ერთ-ერთი ხურჩელი.

ახალნაწვიმარზე მოხერხებულობა გჭირდება, რომ წყლის გუბეებად ქცეულ ქუჩებში არ დასველდე. ადგილობრივებს სიარულზე ეტყობათ, რომ რაღაცას უფრთხიან, ეშინიათ, არც არის გასაკვირი, ხურჩელებმა 1992-1993 წლების, 1998 წლის გალის ამბები და 2008 წლის აგვისტოს ომი საკუთარ თვალით ნახეს. ნახეს კი არა, საკუთარ თავზე გადაიტანეს – სახლებში რუსი ჯარისკაცების შტაბები ახსოვთ. ერთადერთი, რაც სოფლის მინდვრებში უზრუნველად დადის, პირუტყვია.

„13 აგვისტო იყო, რუსები და აფხაზები, ასე 60 კაცამდე ჩემს სახლში ყოფილან. შვილები გავხიზნე, სახლში დედაჩემი და მეუღლე იყვნენ, ეზოში ფეხი რომ შემოვდგი, დამიჭირეს, ჭაში ჩაგდებას მიპირებდნენ, დედამ იკივლა, ხესთან თავქვე დაემხო. 80 წლის ქალისთვის ამის გადატანა როგორი იქნებოდა, ვერც გადაიტანა“, – მურთაზ შონიას დედის დაღუპვის შემდეგ ნაბაკევიდან გადმოსულ სამხედროებს შტაბი ჯგუშიების სახლში გადაუტანიათ. კბილებამდე შეირაღებულებს გასართობიც უპოვიათ – კედლებზე წარწერა „Грузинятя, вашу...“ დღემდე არ არის ბოლომდე წაშლილი,

ავტობუსი სოფლის ცენტრში აჩერებს, ქალებს ტვირთის ზიდვა სახლამდე ხელით უწევთ. სოფელში ტაქსებიც დადიან, მაგრამ ბევრისთვის ეს ხელმიუწვდომელია.

„Грузинята, Я вашу ...“ – ასეთი წარწერები სახლის კედლებს ომზე მოგონებებთან ერთად შემორჩა.

კედლის გასწვრივ კარზე კი სამიზნე ამოუკაწრავთ, ვირტუალურ მტერთან ბრძოლის კვალს კარზე დღესაც ნახავთ.

ეს იმ ჯგუშიების ოჯახია, 1998 წლის გაზაფხულზე ზუგდიდის რკინიგზის სადგურში მომხდარი აფეთქება რომ გადაიტანა – ვაგონში ჩასხდომიდან რამდენიმე წუთში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა, შედეგად ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი, მაკა, ქვედა კიდურების გარეშე დარჩა. გოგონას სახელმწიფომ გერმანიაში უმკურნალა.

„ამის მეტი დახმარება ჩვენ არ გვახსოვს, არც მოკითხვა, როგორ ხართ, ხალხო, როგორ უძლებთ, რა გიჭირთ... შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ არავის ვახსოვართ“, – იამზე მდივნიშვილს ცხოვრება დღესაც შვილის 100 ლარიანი დახმარების ანაბარა უწევს.

ეზოდან კარგად ჩანს ის ყოფილი სტადიონის ტერიტორიაც, სადაც 2008 წლის 21 მაისს ავტობუსები ააფეთქეს. მაშინ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მომხდარი დივერსიულ აქტად წარმოეჩინა – აფხაზები არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად გალიდან გადმოსულ ადამიანს დივერსიას უწყობენო, მაგრამ ოფიციალურ ვერსიაში ჯერ ადგილობრივებმა შეიტანეს ეჭვი, შემდეგ კი სპეციალურ მოხსენებაში გაეროს იმდროინდელმა გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმაც.

„ვჭირდებით მხოლოდ იმისთვის, რომ პოლიტიკური თამაშებისთვის გამოგვიყენონ. ხურჩაში 40 კაციც რომ მოეკლათ ან 20 სახლი გადაეწვათ, მთავრობა იტყოდა, აფხაზები ქართველებს გენოციდს უწყობენო, არადა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ სროლა ჩვენი მხრიდან იყო. ავტობუსებში კი ძალით ჩასვეს ხალხი“, – იხსენებს ერთ-ერთი ხურჩელი.

სოფელში იმასაც ამბობენ, რომ აფეთქებიდან სულ ცოტა ხანში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების პირები ჩასულან. „ქალებმა გოროზიას უთხრეს, ყველაფერი თქვენი მოწყობილია, ნუ გვწირავთ ასეო. ამის თქმა და გოროზიას მუქარაც ერთი იყო: ვიდრე მე ვარ გუბერნატორი, იოტისოდენა ყურადღებასაც არ მოგაქცევთო. ასე, ნეტავ, სხვა დანაპირები შეესრულებინა“, – თხრობა გახმაურებული აფეთქების შესახებ თითქმის ყველა სახლში გრძელდება, სადაც კი ფეხს ვდგამთ.

ოჯახი თხილის გასხლულ ტოტებს შეშად და ბოსტანში სარებად იყენებს. თხილი ხურჩელების შემოსავლის ძირითადი წყაროა.

ერთადერთი, რაც ყოფილმა ხელისუფლებამ ხურჩელებისთვის გაიმეტა, კოკთან დამაკავშირებელი ხიდია, ისიც უშუალოდ პრეზიდენტის დავალებით გაკეთდა. 2008 წლის აგვისტოს ომამდე მიხეილ სააკშვილი ხურჩის ყოფილი რწმუნებულის ფრიდონ კვარაცხელიას ოჯახს სტუმრობდა.

„ეგ ხიდიც საბედისწერო აღმოჩნდა – სწორედ მისი გავლით გადავიდა რუსების ასეულობით ჯავშანტექნიკა ჯერ კოკში, შემდეგ ზუგდიდში, სენაკამდე ჩააღწიეს, სექტემბრის 13-შიც იმავე ხიდით გაბრუნდნენ“, – ამბობს ფრიდონ კვარაცხელია, რომელმაც წლების განმავლობაში აგრონომად ჯერ ნაბაკევში, შემდეგ კი ხურჩაში იმუშავა.

ზოგადად, საბჭოთა დროიდან მოყოლებული ხურჩელებს ნაბაკევთან უფრო ჰქონდათ მიმოსვლა, ვიდრე კოკთან. რადგან ადგილზე სკოლა არ არის, მოსწავლეების დიდი ნაწილი ნაბაკევში დადის.

აქაურებს უთავკაცობაც აწუხებთ - 85 კომლიანი დასახლების მკვიდრებს ადმინისტრაციული თუ ყოფითი საჭიროებების მოსაგვარებლად 5-6 კილომეტრის გავლა უწევთ.

„ღელეს გადაღმა რუსები დგანან, ბავშვები დღეში ორჯერ გადიან მათ სიახლოვეს. გაკვეთილებს რომ რჩებიან, მასწავლებელი მირეკავს, გავდივარ იმ ტყეში, რომ შუაგზაზე მაინც დავხვდე შვილიშვილებს. მათ არ დაიჭერენ, მაგრამ მე რომ დამიჭირონ, გალში წამიყვანენ და ფულს მომთხოვენ“, – ამბობს შავებში ჩაცმული ქალბატონი. გახუნებული სუდარიდან ორი ახალგაზრდა მამაკაცის ფოტო მოჩანს.

მოგონებები ომზე და ომის შიში ხურჩაში მდგარ სახლებს და ამ სახლის მეპატრონეებს ერთნაირად ეტყობათ. დროსა და ხელისუფლების უყურადღებობაში დაკარგულ სოფელში სიჩუმეს მხოლოდ სოფლის ავტობუსი არღვევს – საბჭოთა „პაზიკი“ ზუგდიდში დილის 9 საათზე გადის, უკან კი შუადღეს ბრუნდება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2012 წელს ხურჩელების სატრანსპორტო მომსახურებისთვის 27 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული, წელს კი ეს თანხა 17 ათა-

საომარი მოქმედებების დროს გადამწვარი სახლების ნაწილი ასეთ მდგომარეობაშია. მეპატრონეებმა სახლის გადახურვა მეზობლების დახმარებით შეძლეს.

ხურჩა-ზუგდიდის რეისი. ბიუჯეტიდან ხურჩელებისთვის მუნიციპალურ ტრანსპორტზე გამოყოფილი თანხა წელს 10 ათასი ლარით შემცირდა.

სამდე შემცირდა. ათეული წლებია, სოფელს არ ჰყავს ექიმი, გაუქმებულია ადგილობრივი ამბულატორია. ზუგდიდიდან გამოძახებული სასწრაფო კი ავადმყოფთან საათ-ნახევრის, ხანდახან ორი საათის შემდეგ მიდის.

„შეშის ჩეხვისას ხელი გავიჭერი, ზუგდიდის სასწრაფოს ვერ დაველოდებოდი, დავრეკე ნაბაკევში, გადავედი საცალფეხო ბილიკით, იქ ექიმიც დამხვდა და მანქანა. ორი საათი ამუშავდნენ ჭრილობას, ნაკერებიც დაადეს. ხომ ვართ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწილი, მოგვხედონ“, – სვეტლანა კუჭოშვილის ხმაში სიბრაზე და თხოვნა ერთდროულად ისმის. ისიც, საკუთარი მეზობლების მსგავსად, ლოგინად ჩავარდნილ მეუღლეს უვლის. ინფარქტი აქაური მამაკაცების ყველაზე ხშირი დიაგნოზია. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომ.

ზუგდიდში დაწყებული გაზიფიკაცია ხურჩელებისთვის სანატრელია. გაზი კი არა, ელექტროენერგიაც გალის მხრიდან აქვთ. ყოველთვიურად 20-20 ლარს კრებენ, თანხა ენგურის ხიდით გადმოსულ პირთან მიაქვთ.

„ტელევიზორს კი ვრთავთ, მაგრამ ხშირად მაცივარსაც კი ვერ ვამუშავებთ ისეთი დაბალი ძაბვაა. ტელევიზორში კიდევ კარგს რას იტყვიან – ყველაფერი აინტერესებთ ჩვენი ყოფის გარდა. არ უნდა დამთავრდეს ეს გაწევ-გამოწევა?“ – გურამ ფანთიას კითხვა რიტორიკული აღმოჩნდა, თავთან საფერფლეც უდევს და წამლებიც. არ მიჯერებს, როცა ვთხოვ, არ მონიოს, დარდს ამას ვაყოლებო, – გვეუბნება ბატონი გურამის მეუღლე.

სხვა ხურჩელების მსგავსად, ფანთიების ოჯახის ერთადერთი შემოსავალი თხილია. მოსავალი, სხვა ყველაფერთან ერთად, კლიმატურ პირობებზეც არის დამოკიდებული. ფასი ყოველთვის მერყეობს, გაჭირვებისა და ავადმყოფობის გამო მოსავალი აღებამდე გაყიდულია.

„ასე გააქვს ყველას თავი წლიდან წლამდე, ხეს ნაყოფიც კი არ გამოუღია, ჩვენ კი უკვე გაყიდული გვაქვს, წინასწარ ვიღებთ ფულს“, – ამატებს ქალბატონი სვეტლანა.

უკანა გზაზე მაინც მამოწმებენ, საგუშაგოზე პირადი შემადგენლობა შეცვლილა. რა უნდა ხურჩაში თქვენს სტუმარს? – ეკითხებიან ბატონ მურთაზს. ჟურნალისტია, ხურჩაზე უნდა დაწეროს, – პასუხმა არ დაახანა. გუშაგს ცალყბად ეღიმება და პასპორტს გვიბრუნებს.



www.facebook.com/TalkShowLiberali

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკ-შოუ "ლიბერალი" მსმენელს მიმდინარე მოვლენებზე, ფაქტებზე დაყრდნობილ, განსხვავებულ თვალსაზრისებს სთავაზობს.

გადაცემა მიუკერძოებლად და ობიექტურად საუბრობს ისეთ თემებზე, რომლებიც ქართულ მედიაში, როგორც წესი, მარგინალიზებულია.

გადაცემის მიზანია სადისკუსიო საკითხების სივრცის გაფართოება;
იქნება ეს განათლების პოლიტიკა, ჯანდაცვა, სამართალი,
ქსენოფობიის და ფუნდამენტალიზმის ნიშნები ქართულ საზოგადოებაში,
უმცირესობის წარმომადგენლების უფლებების შელახვა და სხვა.

ეთერში გასვლის დრო: *ყოველი სამუშაო დღე - 19:00*

განმეორებით: *ყოველი სამუშაო დღე - 02:00*

ტოკ-შოუ "ლიბერალის" ავტორები და წამყვანები:

შორენა შავერდაშვილი

ნინო ბექიშვილი

ლიკა ზაკაშვილი

ნინია კაკაბაძე

თინა ყიფშიძე

თებერვლის ქრონიკები ან და მარადის

თაკო კაკაბაძე

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ოკუპაცია მოახდინა – ეს ფაქტი, რომელი მხრიდანაც არ უნდა შეხედო, ვერ შეიცვლება.

ზუსტად 92 წლის შემდეგ საქართველოში ეს თარიღი გაიხსენეს და სხვადასხვა ფორმით აღნიშნეს. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები მინისტრებთან ერთად იუნკრების საფლავებთან მივიდნენ, უმცირესობა კვირეულებს აწყობდა, მდარე კლიპებს იღებდა და წითელი ყაყაჩოს კლუბებს ქმნიდა.

ოკუპაციის განცდაში შეჯიბრი ტრაგედიას სულ უფრო და უფრო ამსგავსებს იაფასიან ფარსს. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ საშინლად არაგულწრფელი და ყალბია ტრაგედიის საზეიმო განცდა, უკვე პათოლოგიაში გადაზრდილი ერთგვარი მისიით თავმოწონება, ტკბობა და შეჯიბრი, თუმცა ორივეს – ძველ და ახალ ხელისუფლებასაც – საკუთარი მიზეზები აქვთ: ერთი ცდილობს „ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაცია“ საკუთარ ექსკლუზიურ ბრენდად გაასაღოს, ხოლო მეორე საკუთარი, როგორც მინიმუმ, არაპროფესიონალური და არათანმიმდევრული საგარეო პოლიტიკური განცხადებებისაა თუ „ხმამაღლა ფიქრის“ შემდეგ იძულებულია ამტკიცოს, რომ „იმნაირი არაა“.

უკანასკნელი ორი ათწლულის განმავლობაში საქართველოს ომებსა და არეულობებში რუსეთის წვლილი დიდია და ცხადი. მაგრამ ძველი ხელისუფლების აპელირება რუსეთზე, როგორც ყველაფრის ამხსნელ და ყველაფრის გამამართლებელ მიზეზზე, მაინც საშინლად არაგულწრფელია. თუმცა ახალი ხელისუფლების კონკრეტული წარმომადგენლების მიერ ამ ფაქტის ეჭვქვეშ დაყენებამ და გარკვეული განცხადებებით ნიადაგის მოსინჯვამ თუ უბრალოდ, არაპროფესიონალიზმმა, როგორც არასდროს, ისეთი გასაქანი მისცა „ვარდების“ ხელისუფლებას. მოკლედ, ხელი ხელს ბანს, ორივე ერთად კი პირს, ოღონდ ჯერ სადავოა – ვის პირს.

> **დამნაშავე ყოველთვის და ყველაფერში მაინც სხვა იქნება: ედუარდი, ასლანი, იგორი, მიშა, სოროსი და ჩვენ გავაგრძელებთ სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლას იმიტომ, რომ არასოდეს გაგვირჩევია ხელისუფლება და სახელმწიფო ერთმანეთისაგან: ხელისუფლებების პათოლოგიურ შეყვარებებსა და შეძულებებს შეეწირება სახელმწიფო ინტერესები.**

ორივეს სჭირდება ერთმანეთის არსებობა საკუთარი აუცილებლობის, ერთდერთობის და უნიკალურობის დასამტკიცებლად: სააკაშვილის გარეშე ვერ შევალთ ნატოში და საუკუნოდ გვემუქრება „პოსტსაბჭოთა ჭაობში ჩარჩენა“, სამაგიეროდ, ვინც ცოტა განსხვავებულად ფიქრობს, ვიდრე პრემიერი (უმრავლესობის აღნიშვნის აზრს ვერ ვხედავთ იმიტომ, რომ ეს უმრავლესობა, როგორც ერთი კაცი ზუსტად ისე იფიქრებს, „როგორც ბატონი ბიძინა იტყვის“), „ნაციონალი“, „ჩანერგილი“ და „მოღალატეა“.

რეალობა კი დაზეპირებული ფილმივითაა – ზუსტად იცი, რით დამთავრდება, ოღონდ იმისათვის, რომ უყურო (და უნდა უყურო იმიტომ, რომ სხვა გზა არ არსებობს, ან კიდევ უნდა შეხედო როგორც გარდაუვალ ბედისწერას შეეგუო და აიტანო), უნდა დაივიწყო, რომ დასასრული იცი. ისევე, როგორც ორი ათეული წლის განმავლობაში, არც დღევანდელი ხელისუფლება უშვებს იმას, რომ ზღვარი გაივლოს მმართველ პარტიასა და ხელისუფლებას შორის, ნაციონალების საშინლად არაგულწრფელ კამპანიასა და თავად ოკუპაციის ფაქტს შორის და უკვე მერამდენედ ვურევთ ერთმანეთში სასაცილოს და სატირალს, ფაქტს და ინტერპრეტაციას. ერთმანეთის ჯიბრზე მოქმედების გამო პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით ვწუხვართ, ვიცინით და, როგორც ჩანს, ვარსებობთ – ერთმანეთის ჯიბრზე. იმ სოროებს კი, რომლებსაც საკუთარ თავთან და ერთმანეთთან ბრძოლიდან ლაჩრულად გაქცეულები ვაფარებთ თავს, „სამშობლო“, „თავისუფლება“, „თანაზიარობა“ და ათასი კეთილშობილი სახელი დავარქვით. გვზარავს იმის წარმოდგენა, რომ ამ ცნებებს შეიძლება სულ სხვა მნიშვნელობები ჰქონდეს, ჩვენ რომ მივანიჭეთ, იმისგან რადიკალურად განსხვავებუ-

ლი. ამიტომ არ გვინდა დავფიქრდეთ, რას ვგულისხმობთ, როცა „სამშობლოს“ ვამბობთ: ტერიტორიას, საზღვრებს, წარსულს, აწმყოს, განცდილს თუ განსაცდელს, ენას, ადამიანებს, წინაპრებს, საკუთარ შვილებს, თუ სხვებისასაც, სიზმრებს, ზღაპრებს თუ პასუხისმგებლობებს. ყოველ კონკრეტულ მომენტში იმ მნიშვნელობას მივანიჭებთ, რომელიც საკუთარი სიმხდალის გასამართლებლად გამოგვადგება. ერთმანეთის ჯიბრზე „შევიყვარეთ“ ის, რასაც „სამშობლო“ დავარქვით და ამ „სიყვარულით“ გავამართლეთ ზიზღიც, შურიც, სიმხდალეც და ის ტყვიებიც, რომლებიც სინამდვილეში ერთმანეთისთვის გვქონდა გადამალულ – გადანახული.

ჰოდა, აბა, რა გასაკვირია, რომ ისტორიის ერთი პატარა ნაწილის შეფასებაშიც ვერ შევთანხმდით: საქართველოს 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, იმიტომ რომ იქ რუსეთის ჯარი დგას. ვინც არ უნდა ისარგებლოს ამით, ფაქტი ჯიუტია. სხვაა ფაქტთან ჩვენი დამოკიდებულება: ვიღაცა პარტიული და ცხოვრებისეული კონიუნქტურის გამო სიყვარულის საზეიმო დემონსტრაციისათვის ოკუპანტის დროშებს დაწვავს, ვიღაცა იმავე კონიუნქტურის კარნახით დამწვარ დროშებს გადამალავს და გაიტრუნება.

დამნაშავე ყოველთვის და ყველაფერში მაინც სხვა იქნება: ედუარდი, ასლანი, იგორი, მიშა, სოროსი და ჩვენ გავაგრძელებთ სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლას იმიტომ, რომ არასოდეს გაგვირჩევია ხელისუფლება და სახელმწიფო ერთმანეთისაგან: ხელისუფლებების პათოლოგიურ შეყვარებებსა და შეძულებებს შეეწირება სახელმწიფო ინტერესები. ასე იყო და ასე არის, შესაბამისად, იქნება ის, რაც იყო, ახალი პერსონაჟებით, ახალი მსხვერპლებით, ახალი ჟინით და ძველისძველი სიძულვილით.

იმედია, შინაარსი აუცილებლად იპოვის შესაბამის ფორმას. მანამდე დავცინოთ ოკუპაციასაც, ღირებულებებსაც, რომლებიც უპასუხისმგებლო ადამიანებმა უსინდისოდ მოიხმარეს და გაცვითეს ჩვენთან ერთად და ჩვენი თანამონაწილეობით. იაფფასიანი მაკიაჟით შეთხუპნული საპნის ოპერის მსახიობი ქალივით ერთნაირად ყალბი იქნება ოკუპაციის პროტესტიც და დაკარგულიტერიტორიებზე წუხილით ნაკარნახევი „რუსეთთან კეთილმაზობლური“ ურთიერთობის აღდგენის სურვილიც იმიტომ, რომ ორივე დაცლილია შინაარსისგან. როცა გაჩნდება შინაარსი, გაჩნდება მიზანზე გათვლილი ფორმაც.

ციტატები

„ონიშჩენკომ არ დაგვდო პატივი და არ ჩამოვიდა, რადგანაც ის ქართველებს მუქთახორებად და უსაქმურებად მიიჩნევს, როგორც თვითონ თქვა ამის შესახებ, მაგრამ ჩამოვიდა მათი დელეგაცია და უკანა თათებზე დამდგარი ჩვენი ჩინოვნიკები, ღვინის ქარხნების წარმომადგენლები, აკანკალებული ხელებით უსხამენ ღვინოს, აბა, მოეწონებათ თუ არა, და თვალებში შესცინინებენ ჩამოსულ რუს ჩინოვნიკს. გამახსენდა გოგოლის „რევიზორი“. არადა, რა უნდა რუს ჩინოვნიკს? ჯიბეში უნდა ჩაუდო ორი კაპიკი და წავა ძალიან ბედნიერი.“ –

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი

„ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის იყო და მუდამ იქნება ძმური და მეგობრული. რუსეთი და საქართველო როგორც ძმები ისე იყვნენ წარსულში, მაგრამ ალბათ ვიღაცას შეშურდა ჩვენი კარგად ყოფნა და ხელოვნურად შექმნა მტრობა. მე მქონდა შეხვედრა მის აღმატებულება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ბატონ ვლადიმირ პუტინთან. ადრეც მქონია შეხევდრა, მაგრამ ის სითბო, ის ყურადღება რაც გამოიჩინა პრეზიდენტმა პუტინმა იყო განსაკუთრებული და იმედისმომცველი. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ის პიროვნება, ის ბრძენი პიროვნება რომელიც აუცილებლად გამოასწორებს სიტაუციას და გამთლიანდება საქართველო.“ –

ილია მეორე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

„რაღაც პაეზდკაში მივდივარ, არ მცალიაო უთქვამს. ორშაბათამდე არ მცალიაო, რაღაც კაი საქმეს გვიკეთებს ეტყობა, ზრუნავს ქვეყანაზე.“ –

ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

www.ucnobifm.ge

RBS 6 NATIONS™

ექვსი ერის ჩემპიონატი
2 თებერვლიდან
ყოველ შაბათ ჟვირას

SCOTLAND IRFU FFR WRU